№ 206 — 1877—1905 — № 206

სამშაბათი, 15 ნოემბერი — სამშაბათი, 15 ნოემბერი

# ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეფროსინე ქაიხოსროს ასული კლდიაშვილისა, მარიამ გრიგოლის ასული ძნელაძისა შვილებითურთ, ნინო გრიგოლის ასული აბაშიძისა, ანასტასია და ელისაბედ, სვიმონ და ანდრია გრიგოლის ასულნი და ძენი და მარიამ მიხეილის ასული კლდიაშვილები, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უდროოდ დაკარგულ ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტის

**ალექსანდრე (საშა) გრიგოლის ძის კლდიაშვილის**

ცხედრის მოსვენება ოდესიდან ქუთაისს მოხდება ოთხშაბათს, 16 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, და სთხოვენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ, მობრძანდნენ ამ დროისთვის ქუთაისის რკინის გზის სადგურზე. აქედან ცხედარს წაასვენებენ ქუთაისის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში

---

15 ნოემბერს, შეორმოცე დღეს გარდაცვალებიდან

**კნეინა ანნა ილიას ასულის ჭავჭავაძისა**

ყორღანოვის ქუჩაზე, წმინდა ნინოს ეკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. დასაწყისი წირვისა დილის 9 საათზე.

ტფილისის სახაზინო თეატრი

ორშაბათს, 1905 წ. 21 ნოემბერს

ქართულ ოპერების მმართველ ამხანაგობის მიერ, დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება

I

სევილიელი დალაქი

ოპერა 3 მოქ. და 4 სურათ. მუსიკა როსსინისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: მიტკევიჩისა, ბაქრაძე; ბ-ნნი: არჩეული, ცხომელიძე, ავასი, კარგარეთელი, ჯაფარიძე, მეიფარიანი.

ოპერის ლოტბარი იქმნება ნ. გ. ქართველიშვილი.

II

საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: არციბაშევა, ბ-ნნი: კოლოტოვი, ევლახოვი, ტომაშევიჩი და ქართული ხორო.

ბილეთების წინდაწინვე ყიდვა შეიძლება „ვოზროჟდენიე"-ს რედაქციაში და ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზ. კანცელარიაში.

---

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის ლ. დ. დონსკოისა

სამშაბათს, 13 ნოემბერს, წარმოდგენილ იქნება

გალკა

ოპერა 4 მოქმ. მუსიკა მონიუშკოსი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნოვოსპასკაია, ნიკიტსკაია; ბ-ნნი სლავინი, ევლახიშვილი, დემიანენკო, ფილიპოვი, შეინი.

ბალეტის გამგე ბ-ნი ბეკეფი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კაპელმეისტერი ფალიაშვილი.

რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ანონსი: ოთხშაბათს, 16 ნოემბერს, განახლების შემდეგ პირველად წარმოდგენილ იქმნება სიდნეი ჯონსის ოპერეტა „გეიშა", 3 მოქმ.

---

ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების გამგე კომიტეტი ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ტფ. ქართველ თავად-აზნაურთა კერძო გიმნაზიაში სწავლა შეწყვეტილია 1906 წლის იანვრის შვიდამდე.

(3—1).

---

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრავატი.

---

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

უ. ვ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შაგიანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ზაზანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:

მ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი მაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მ. ა. ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

---

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 ხუთხეში ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

---

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

---

ვ. ხ. მუსხელიშვილი—კიროჩნის და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

---

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

---

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

---

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფოერის სახლის № 157

---

გაწაძე ხფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

---

გაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

---

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

## ტფილისში ხულიგანების ბუნაგი

რუსეთის თვითპყრობელობამ თავიდანვე მოიპოვა ზნეობრივი საფუძველი მართლმადიდებელ სამღვდელოებაში. ეკლესია მუდამ იმის ცდაში იყო, რომ აღემაღლებინა ხალხის თვალში, ღვთაებრივი ძალის გამომხატველად დაესახა ის განუსაზღვრელი თვითნებობა, რომელიც დღემდის რუსეთში მეფობდა. სამღვდელოება გაფთრებული ებრძოდა ყველას, ვინც თავისუფალ აზრს იჩენდა, ვინც არსებულ წყობილებას კრიტიკის თვალით შეხედავდა. წყევლა-კრულვა, დევნა, ხალხის წასისინება—ეს ჩვეულებრივი იარაღი იყო სამღვდელოების ხელში. არა ერთი სახალხო მოღვაწე, არა ერთი მასწავლებელი და ხალხის უანგარო შვილი გახდა სამღვდელოების მსხვერპლად.

ეს საოცარი მოვლენა აიხსნება მხოლოდ ისტორიულად. მონების სარწმუნოება, რომელიც თავის გაჩენისას ქადაგებდა სიყვარულსა და ძმობას, ახორციელებდა თავის დროის შესაფერად კომუნიზმს, ისტორიის მსვლელობაში თანდან დაშორდა თავის პირვანდელ წყაროს და იქცა ამა ქვეყნისა ძლიერთა იარაღად. ხოლო როგორია ამ ძლიერთა მისწრაფებანი, ეს ყველამ კარგად უნდა იცოდეს. ხალხის გონებრივ თვალის დაბნელება, ჭეშმარიტების დამალვა, მონურ მორჩილების შექმნა—აუცილებლივ ესაჭიროებათ, რომ ამით საშუალება მიეცეთ ხალხს ტყავი აძრონ და ამით თავისი კეთილ-დღეობა შექმნან. მათ ამ მისწრაფებაში ეკლესია დიდ დახმარებას უწევდა. მღვდელი გადაიქცა ანაფორაში გამოწყობილ მოხელედ, რომელსაც თავის მოვალეობად გაუხდია ხალხის გონებრივი დაბეჩავება. ამ მხრივ რუსეთის სამღვდელოება სახელ განთქმულია და ამიტომ ყველა მოელოდა, რომ ეს სამღვდელოება მთელ თავის ძალ-ღონეს მოიხმარს განმათავისუფლებელ მოძრაობასთან საბრძოლველად.

მართლაც, ხალხის მოძრაობისა პირველ დღიდანვე სამღვდელოება დაფაცურდა და ბნელ ძალების მობილიზაციას შეუდგა. გაიხსენეთ ჩვენთვისაც ცნობილი მოსკოვის მიტროპოლიტის ვლადიმირის მოწოდება. იგი პირდაპირ იწვევს „მართლმორწმუნეთ" შეიარაღდნენ, დალეწონ და დახოცონ ყველა ისინი, ვინც ხალხის თავისუფლებისათვის იბრძვის. მისი მოწოდება უყურადღებოდ არ დარჩენილა. მოსკოვის უთვალავ ეკლესიებში კათედრიდან გაისმოდა წყევლა-კრულვა ხალხის განმანთავისუფლებლების მიმართ. ყრუ ბრბოს საბრძოლველად იწვევდნენ და კიდეც მიაღწიეს საწადელს. ხულიგანთა ბრბო თავის როლის შესრულებას შეუდგა. მართალია, ამ ამბავს შემდეგ მოყვა ოფიციალური სინანული და ქრისტიანულ სიყვარულის საჭიროების აღიარება, მაგრამ განა ამ განცხადებას რამე ძალა აქვს? სამღვდელოება მაინც თავისი გზით მიდიოდა. იგი საერთოდ, როგორც კორპორაცია, წარმოადგენდა დღევანდელ რუსეთის შავ რაზმს, რომელიც არა ერთს, ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლს, იმსხვერპლებს.

ჩვენ განსაკუთრებით ვიცნობთ ვლადიმირისებურ სამღვდელო პირთ. ჩვენში მათ კიდევ უფრო ფართე ასპარეზი ჰქონდათ. აქ მათ საშვალება ეძლეოდათ ფეხქვეშ გაეთელათ არა-რუსები. და მართლაც, უნდა გამოვტყდეთ, საერთო კაცთაჭამიაობის მისწრაფებაში არა ერთხელ შეურაცხყვეს მათ თავისი „სამწყსო", არა ერთი ადამიანი დაღუპეს თავისი ჯაშუშობით. უკანასკნელ დროს კი ამ ბნელმა ძალებმა გაარკვიეს თავისი ჯოჯოხეთური მუშაობა, თითქო გრძნობენ, რომ სიცოცხლის უკანასკნელი წუთი უდგებათ და ამიტომ არ სურთ აღიგვან ამა ქვეყნიდან უმანკო მსხვერპლთა გაუტაცებლათ. უმაღლესი სამღვდელო პირი ჩვენში ჰფარველობს ხულიგანთა ორგანიზაციას, რომლის სულის ჩამდგმელი ცნობილი მღვდელი გოროდცევია. ამ ანაფორიან ვაჟბატონის მოღვაწეობა არის ხულიგანების თავის მოყრა. ამ ანაფორიან ვაჟბატონის და ძმათა მისთა ცდამ უკვე მოიტანა თავისი ნაყოფი. ტფილისი ორჯელ იყო მოწმე მათი ბარბაროსულ სიმხეცისა და მოქალაქეთა დაუნდობელ ხოცვა-ჟლეტისა.

მაგრამ, როგორც სჩანს, ამ ფთრებს არ ეყოთ უმანკოდ დაღვრილი სისხლი. გაზეთები გადმოგვცემენ, რომ სახელ-განთქმულ სამისიონერო შენობაში, ექსარხოსის ლოცვა-კურთხევით და გოროდცევის მეთაურობით შეუდგნენ წირვის შემდეგ სისტემატიურ საუბრების გამართვას. თუ რას ილაპარაკებენ იქ, რას ჩააგონებენ გონებრივ წყვდიადით მოცულ მსმენელთ, ეს წინდაწინ ვიცით.

ხულიგანებს არ ეყოთ პოლიციის დახმარება, —სამღვდელოებაც მათ აშკარად მეთაურობა უწევს. უეჭველია, ხულიგანური სული ვერ მოითმენს და ახლო მომავალში კიდევ უნდა მოველოდეთ თავდასხმას. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს დღესვე, საჭიროა სათავეშივე მოისპოს ხულიგანური მოღვაწეობა.

ვინ უნდა მოსპოს იგი? ცხადია, რომ არა დღევანდელმა მთავრობამ, რომელიც არ დაუმალავს ყოფილა სანახევროდ მალულ დახმარებით და აშკარად გამოუცხადა მას თავისი თანაგრძნობა. ხულიგანურ მისწრაფებათა ალაგმვა შეუძლია მხოლოდ ხალხს, მოქალაქეთ. მაგრამ აქაც დაბრკოლებაა. ქალაქის საბჭო, რომლის პირველ საზრუნველ საგანს უნდა შეადგენდეს მოქალაქეთა სიცოცხლის დაცვა, დღეს ამ საქმისთვის სრულიად გამოუდეგარია. მისი სილაჩრე და პოლიტიკური გაკოტრება საკმარისად დამტკიცდა ამ ბოლო დროს. დღეს ქალაქს პატრონი აღარ ჰყავს. საჭიროა, რა გზითაც უნდა იყოს, არამკითხე დღევანდელი საბჭო თავიდან მოვიშოროთ, საჭიროა ხალხის ნამდვილი წარმომადგენელი საბჭო დაუყოვნებლივ შესდგეს. მხოლოდ ამ საბჭოს ექმნება ღონე მოქალაქეთა სიცოცხლეზე იზრუნოს და მოქალაქენი თავის დასაცველად შეაიარაღოს. მხოლოდ მაშინ მოგვეცემა გარანტია ხულიგანურ მხეცების აკლებისაგან.

პ. სურგულაძე.

## ქალაქის საქმეები

საბჭოს უკანასკნელ სხდომათა ანგარიშების *) წაკითხვა ისეთ შთაბეჭდილებას იძლევა, თითქოს ხმოსნებს დაწყვეტილი ჰქონდეთ ჩვეულებრივი ტვინის ძაფები, თუმცა ორჯოფ ლიბერალიზმის თვალთა ხედვის წერტილიდან მათი ნალაპარაკები არ არის აზრს მოკლებული.

სანიმუშოდ მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი.

ხმოსნებს ეუბნებიან, რომ ისინი შეადგენენ ბურჟუაზიულ საბჭოს, ხალხი კი თხოულობს დემოკრატიულ საბჭოს.

**ხმ. ექიმი ხატისოვი:** ,,უკეთეს კოსტიუმებში გამოწყობილნი, შეიძლება, უფრო მეტს აკეთებდნენ ხალხისთვის, ვიდრე ხალხიდან გამოსული ბევრი ჭუჭყიანად ჩაცმულნი''! (სწორედ ასეა ნათქვამი). ამისი მთქმელი, რასაკვირველია, ვერასოდეს ვერ გაიგებს იმ მარტივ აზრს, რომ თუნდაც საბჭოს მოქმედება, შემთხვევით, ძალიან დემოკრატიულიც იყოს, მისი შედგენილობა მაინც ბურჟუაზიული დარჩება, უკეთუ ეს საბჭო მხოლოდ და მარტო ბურჟუაზიისაგან არის მოვლინებული.

**ხმ. ევანგულოვი:** ბატონებო! მე თქვენ გეძახით მოქალაქეებს, და იმათ კი (უჩვენებს პუბლიკაზე)—ამხანაგებს. მე თქვენ ასე გეძახით, რადგან ღარიბთა კლასს თქვენ არ ექცეოდით თანაგრძნობით. მაგალითისთვის გაგახსენებთ შემთხვევას ქუჩების მოკირწყვლის დროს: განაპირა ადგილებზე არავითარი ყურადღება არ მიქცეულა.

**ხმ. ბაბოვი:** მე ვაცხადებ, რომ ეს სიცრუეა. (პუბლიკიდან: ,,ალაპარაკეთ ევანგულოვი'').

**ჩერქეზოვი:** მე გთხოვდით, ამ ტემაზე არ გელაპარაკნათ.

**ბაბოვი:** მე ვაცხადებ, ეს წმინდა სიცრუეა!

**ევანგულოვი** (ბაბოვს): მე თქვენ მოგიყვანოთ დოკუმენტებს, თქვენ კანვე ხელ-მოწერილს. (პუბლიკისკენ) ამხანაგებო! ხმოსნები თხოულობენ დაუმტკიცო, რომ ისინი არ ყოფილან ღარიბთა კლასის ინტერესების დამცველნი. მე იმათ გავახსენებ ისტორიას 600 ათას მანათისას, რაიც ცხენის-რკინის გზის საზოგადოებიდან მივიღეთ (ასტყდება ხმაურობა).

**ბაბოვი:** სად არის 95 ათასი მანათი?

**ჩერქეზოვი:** ვთხოვ ევანგულოვს დაბძანდეს. ევანგულოვი განაგრძობს და სხ.

**ხმ. ხუდადოვი;** (მოჰყავს ფაქტები, რომ საბჭო არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ღარიბთა უბნებს და კერძოთ ასახლებს, თუ როგორ უმასპინძლდებოდნენ ნაძალადევს):

,,როდესაც მე ელაპარაკობდი საბჭოს უმრავლესობის მოქმედებაზე, სრულებითაც არ მინდოდა მეთქვა, რომ ჩვენ განზრახ (შეგნებულად) ვმოქმედობდით საზოგადოების საზარალოდ; განსაზღვრული შეძლებანი, აღზრდა, ეკონომიური მდგომარეობა შეუძლებლად ჰხდის ჩვენთვის ყურადღებით ვეკიდებოდეთ ღარიბებს. აი, ამიტომ, მე მინდა, რომ აქ იყვნენ სხვა წარმომადგენელნიც, წარმომადგენელნი ღარიბებისა". ხმოსანს ხუდადოვს შემოაქვს წინადადება: აწინდელმა საბჭომ თავი დაანებოს სამსახურს და დაუყოვნებლივ მოახდინოს ახალი საბჭოს არჩევნები თანახმად საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ საარჩევნო უფლებისა, ფარულის კენჭის ყრით.

**ხმ. ხუდადოვი** (მეორე სხდომაზე): „როცა ვთქვი, საჭიროა შევუდგეთ არჩევნებს და თავი დავანებოთ სამსახურს, მე არ მინდოდა მეთქვა და არ მითქვამს, რომ ჩვენ თვითონ შევდგომოდიყავით არჩევნებს. მე ვიცი, რომ ჩვენ არავითარი ძალა არ გაგვაჩნია... ჩვენი გადაწყვეტილებანი უნაყოფოა და ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა, საქმე წინ წავწიოთ. ეს კი შესაძლებელია გაფიცვით (забастовкой)". ხმოსნის გონებაში გაფიცვა და სამსახურიდან გადადგომა ერთმანეთშია არეული. ამასთანავე, იგი მომხრეა ხალხის სურვილისა (მოთხოვნის), მარა წინააღმდეგია, რომ ეს სურვილი ხალხის ნებითვე განხორციელდეს.

**ხმ. მიქელაძე.** ეხლავე ვაცხადებ, რომ მე მხურვალე მომხრე ვარ საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ საარჩევნო უფლებისა, ფარული კენჭის ყრით. მე მხურვალე წარმომადგენელი ვარ ამ პრინციპისა... საქალაქო დებულება, რომელიც ჩვენ მოგვეპოება, არ ვარგა, არ ვარგა არც სხვა დანარჩენი კანონები... ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ რაიმე კანონებით. ისეთი დაწესებულება არ მოიპოება, რომ არ ხელმძღვანელობდეს რაიმე კანონებით... საყოველთაო საარჩევნო უფლება ჯერ არ არის კანონი და ხმ. ხუდადოვის წინადადება მე მიმაჩნია... რეკლამად, მიკარნახებს ერთი ხმოსანი, მაგრამ არა, რეკლამად კი არა, მშვენიერ ფანტაზიად... იმიტომ კი არა, ვითომ მე ხმ. ხუდადოვზე პროგრესიული არ ვიყო, არამედ იმიტომ, რომ მე ეს (ხუდადოვის წინადადება) ნაადრევად მიმაჩნია. რადიკალიზმით ვერ გამაკვირვებთ (იცინიან), მაგრამ საჭიროა არ დავივიწყოთ ორი რამ: გონება და გონიერება. ეხლა უნდა ვიპოვოთ გასასვლელი კარი. ამიტომ საჭიროა ჩვენ დაუყოვნებლივ გადავწყვიტოთ, მივიღოთ საყოველთაო საარჩევნო უფლება პრინციპიალურად და მერე ცოტ-ცოტაობით (понемногу) შევუდგეთ მის განხორციელებას... მე წინადადებას ვიძლევი, სრულიად უყურადღებოდ დავტოვოთ ხუდადოვის წინადადება. მარა საბჭომ მიიღოს ეხლავე განსაზღვრული საჭირო შრომა (მოქალაქეთა სიების შედგენა), ხოლო დამფუძნებელი კრება, მე მწამს, თავის პირველსავე სხდომებზე დაამტკიცებს საყოველთაო საარჩევნო უფლებას".

**ხმ. ევანგულოვი.** საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპის განსახორციელებლად არის ორი გზა: რევოლუციონური და ლეგალური. მე არა ვარ წინააღმდეგი პირველისა, მაგრამ ვიცი, რომ ხმოსნები არ დაეთანხმებიან იმ პირთ, ვინც ამ გზას გვიჩვენებს... მე ვდგევარ რევოლუციონურ გზაზე, მარა ლეგალურ (ნებადართულ) გზაზე სასიარულოდაც მაქვს საფუძველი... ჩვენს თანამდებობას რომ თავი დავანებოთ, ვფიქრობ, ეს იქნებოდა ღალატი საქმისადმი, ჩვენ უნდა დავამტკიცოთ (?) ანუ შევიმუშაოთ საქალაქო დებულების პროექტი; დაუყოვნებლივ უნდა გავგზავნოთ შიკრიკი პეტერბურგს და მოვითხოვოთ ამ პროექტის განხორციელება.

**ხმ. ხატისოვი.** მე არ შემიძლიან თანავუგრძნო ყვირილს: „იარაღი აისხით!".

**ხმ. ევანგულოვი.** მე ვფიქრობ, მშიშარად არ ჩამთვლიან, თუ იარაღით ხელში არ გავალ ქუჩაში. მე. საამისო ნიჭი არ შემწევს.

**ხმ. ტიგრანოვი.** მე სხვებზე მამაციც გახლავართ (დარბაზში საერთო სიცილია), მაგრამ არ შემიძლიან სხვების სიცოცხლე განსაცდელში ჩავაგდო. როცა გარემოება ხელსაყრელი იქმნება, ჩვენ ყველანი მხურვალე რევოლუციონერები ვიქნებით. მაშ, მოითმინეთ, ბატონებო! ჩვენ ველით ფორმაციას (შედგენას) და სანქციას ამ ძალისას—რევოლუციისას. ამას შეუძლიან ან ასეთ ან ისეთ გზაზე დაგვაყენოს. მარა მე განა უფლება მაქვს ამგვარ მიზნებს მივეცე? მოიცადეთ! ნუ თუ არ შეგიძლიანთ მოიცადოთ? მით უმეტეს, რომ ჩვენ, საბჭოს ბევრი უმოქმედნია.

აი ასე ბჭობენ და თათბირობენ ჩვენი ,,მამები'' ხალხის საჭირ-ბოროტო საკითხებზე. ორი თვე ხმოსნები სამსახურიდან გადამდგარნი იყვნენ და არც იყვნენ გადამდგარნი; არავის ანებებდნენ თავის ადგილებს. ამ დროს განმავლობაში ქალაქის საქმეები ბედის ანაბრად იყო მიტოვებული. ეხლა კვლავ დაუბრუნდნენ სამსახურს და მაინც დროს ატარებენ ლათაიებში; და ეს მაშინ, როცა გარემოება არ ითმენს არავითარ დახანებას, როცა რეაქციის ბნელმა ძალებმა თავი ასწიეს და მშვიდობიან, უიარაღო მოქალაქეთ ყოველ დღე ელის იმათგან თავ-დასხმა.

ერთად-ერთი ,,საქმე'', რაც ,,მამებმა'' მოიმოქმედეს, არის მათი შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ტფილისს უფლება მიენიჭოს ერთი დეპუტატის მაგიერ ორი გაგზავნოს სახელმწიფო ,,დუმაში''. ასეთი იყო მათი შუამდგომლობა ბულიგინის დროს, ასეთივეა 17 ოქტომბრის შემდეგაც, თითქოს არავითარი ცვლილება არ მომხდარიყოს ამ დროს განმავლობაში. ბულიგინის ,,დუმა'' წარმოადგენდა ხელმწიფის კერძო სათათბირო საბჭოს; იგი ირჩეოდა იმპერიის მცხოვრებთა ერთის უმცირესის ნაწილის მიერ. დეპუტატთა რიცხვი იყო დაახლოვებით 400. უკანასკნელის მანიფესტით კი ,,დუმა'' საკანონმდებლო დაწესებულებაა; ,,საარჩევნო უფლება ეძლევა იმ კლასებსაც, რომელნიც წინად სრულიად მოკლებულნი იყვნენ ამ უფლებას''. მაშ დეპუტატთა წინანდელი რიცხვი გაუქმებულია. იმპერიის ზოგიერთ განაპირა ქვეყნებს, კიდეც რომ მიენიჭოთ ადგილობრივი პარლამენტები, რუსეთმა, ნორმალურად, არ შეიძლება 700-მდე დეპუტატი მაინც არ იყოლიოს. ყოველ შემთხვევაში, დღეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ რუსეთის პარლამენტში დეპუტატთა რიცხვი ბევრად მეტი იქნება 400-ზე. მაშ, რაღა აზრი აქვს ბულიგინის დროინდელ შუამდგომლობის განმეორება? ჰკითხეთ ჩვენს ,,მამებს''. და მეორეც, *) გარდა ამისა, განა დღეს ხვეწნა-ვედრების, შუამდგომლობის დრო არის? ,,ჰმ! თქვენ გაიხარეთ, —ერთ ხმად გვეუბნებიან ხმოსნები—რათა გგონიათ, რომ ყველას შესწევდეს იმდენი ,,ნიჭი'', რომ თოფს წამოაელოს ხელი და ქუჩაში გავარდეს საბრძოლველად?'' საბრალო ხმოსნებს რევოლუცია ისევე აქვთ წარმოდგენილი, როგორც პოლიციელებსა და „გოროდოვოებს''. სისხლის ღვრისა, და თოფ-იარაღს გარეშე იმათ ვერავითარი რევოლუცია და რევოლუციონური აქტი ვერ წარმოუდგენიათ, საჭიროა განუმარტოთ ხმოსნებს შემდეგი: მაგ. იმათ რომ დღეს დააკმაყოფილონ ხალხის მოთხოვნა—თავს იდვან ახალ საბჭოს არჩევნების ორგანიზაცია და მერე წავიდ-წამოვიდნენ თავ-თავის სახლში, ეს იქმნება სრულიად მშვიდობიანი ზომა და იმავე დროს რევოლუციონური აქტი. მარა ხმოსნები სიტყვას გვიბრუნებენ: ეგ არ შეგვიძლიან, რადგან ,,გოროდოვოე პოლოჟენიე'' მაგას ეწინააღმდეგება. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ჩვენ შე-

*) იხ. „ვოზროჟდენიე" №№ 16, 19, 22, 23.

*) ვინ შთააგონა ხმოსნებს, რომ 17 ოქტომბრის „დუმას" იგივე ბედი არ ელის, რაც ეწვია ბულიგინის „დუმას?". ვინ დაარწმუნა ეს ბატონები, რომ ფუჭი ოცნება იყოს ხალხის საერთო, მედგარი მოთხოვნა: მოწვეულ იქმნას საერო დამფუძნებელი კრება დემოკრატიულ საფუძველზე?!

ვიმუშაოთ ქალაქის ახალ დებულების პროექტი და პეტერბურგს ვაფრინოთ შიკრიკი შუამდგომლობისათვისაო (კიდევ შუამდგომლობა?!)

ჯერ ერთი, ვინ ბრძანდებიან ჩვენი ,,მამები'', რომ მათ იკისრონ ახალ დებულების შემუშავება? ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ისინი არ არიან ხალხის წარმომადგენელნი. და, მეორეც, ვინ უნდა დაამტკიცოს ახალი დებულება? ადგილობრივი თვით-მართველობა—ეს ერთი ორგანიული ნაწილია სახელმწიფო კონსტიტუციისა, და მაშასადამე, საქალაქო დებულების დამტკიცება შეუძლიან (კომპეტენცია ეკუთვნის) მხოლოდ იმ დაწესებულებას, რომელიც აფუძნებს სახელმწიფო კონსტიტუციას. ასეთია საერო დამფუძნებელი კრება. მარა ამ კრების შედგენამდე დრო გაივლის, ქალაქს კი აღარ შეუძლიან მოცდა. თუ როდისმე მიუცილებლად საჭირო ყოფილა ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოები, ეს არის დღეს, როცა მოქალაქეთა სიცოცხლეც კი განსაცდელშია. არ შეიძლება ავადმყოფს უთხრათ: მოითმინე, ვიდრე თქვენი შვილი საექიმო ფაკულტეტს დაასრულებსო.

ყოველ გარდამავალ ხანას აუცილებლად ესაჭიროება დროებითი ზომები. ძველი კანონები უკვე გაუქმებულია, ახალი არ დამყარებულა; ჯერ არც კი შემდგარა ის კრება, რომელსაც ეკუთვნის ახალ კანონების გამოცემის კომპეტენცია (უფლება).

პრესსას ჯერ ისევ მძიმე ბორკილები ედო, სასტიკად აკრძალული იყო ხუთი კაცის ერთად თავმოყრა, მაგრამ აუარებელი ჟურნალ-გაზეთობა (არა-ლეგალური) მაინც თამამად ქადაგებდა თავისუფალ სიტყვას, გამოფხიზლებული ხალხი მაინც იკრიბებოდა, ჰმართავდა მიტინგებს, ახდენდა დემონსტრაციებს, მანიფესტაციებს. 17 ოქტომბრის მანიფესტმა მხოლოდ ფაქტები აღნიშნა. ფაქტი წინ უნდა უძღოდეს კანონს. ეს არის ერთად-ერთი სავალი გზა, ვიდრე ქვეყანას არ მიენიჭება ნორმალური, დემოკრატიული წესწყობილება.

ახლად არჩეულ საბჭოს, რა თქმა უნდა, დროებითი ხასიათი ექმნება მარა ხალხის მიერ არჩეული, ერთი რომ, დაუყოვნებლივ უზრუნველ ჰყოფს მოქალაქეთა სიცოცხლეს, და მეორე მხრივ, საერო დამფუძნებელ კრებას გარკვევით უჩვენებს გზას, თუ როგორი თვით-მართველობა დააკმაყოფილებს ჩვენის ქვეყნის ხალხს.

ამგვარად, ჩვენის წერილის დასკვნა ნათელი არის. ძველი თვითმართველობა მკვდარია, როგორც იურიდიულად, ისე ზნეობრივად. ძველ ხმოსნებს აღარ ებოგინებათ საქალაქო დარბაზში, არც იურიდიულად, არც ზნეობრივად. ერთად ერთი ხსნა იმათთვის არის—დაუყოვნებლივ დააკმაყოფილონ ხალხის მოთხოვნა. ეს მოთხოვნა კარგად მოეხსენება თვით ძველ საბჭოს. „ამ მოთხოვნას ძალიან ენერგიულად იცავენ სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფთა წარმომადგენელნი, რომელნიც მრავლად ესწრებიან საბჭოს სხდომებს“.*)

კვლავ განვუმეორებთ ამ მოთხოვნას: ძველმა ხმოსნებმა დაუყოვნებლივ უნდა თავს იდვან ორგანიზაცია ახალ საბჭოს არჩევნებისა, თანახმად საყოველთაო (განურჩევლად ერისა და სქესისა) თანასწორ, პირდაპირ საარჩევნო უფლებისა ფარულის კენჭის ყრით. შემდეგ ამისა, ადგილები უნდა დაუცალონ ხალხის წარმომადგენელთ.

ვლ. დარჩიაშვილი.

## თვითპყრობელობა იბრძვის...

(ფრანსის დე-პრესანსეს წერილიდან)

იმისთვის, ვინც იცის კონტრ-რევოლუციის ხასიათი, რუსეთში მომხდარი უკანასკნელ დროის ამბები საკვირველი არ არის,—მაგრამ ევროპის ყველა განათლებულმა ქვეყანამ ამ ამბებს მაინც ყურადღება უნდა მიაქციოს, განსაკუთრებით კი საფრანგეთმა.

წინდაწინვე უნდა სცოდნოდა ყველას, რომ თვითპყრობელობა, ხალხის მშვიდობიან აჯანყებით დამარცხებული, არ მოისურვებდა სისხლდაუღვრელად თავის დამარხვას. მას საკმარისი ძალა არ შესწევდა იმისთვის, რომ კიდევ მეტხანს ხალხი მონობაში დაეტოვებინა და არც შეეძლო ხალხის წინაშე გულახდილად თავის დახრა, ხალხის სურვილების ასრულება. მან ვერ გაბედა პირდაპირი ბრძოლა რევოლუციასთან, რომელშიაც იღებდა მონაწილეობას მთელი მომქმედი და მოაზრე რუსეთი, ლიბერალ პარტიებიდან დაწყებული პროლეტარიატის წარმომადგენელ სოციალისტურ პარტიებამდის. მას გზა კვალი დაებნა ბეჭდვის ახალ საშუალების წინ, რომელსაც დაადგნენ მებრძოლი მუშები რუსეთში.

სად არიან დღეს ისინი, ვინც საერთო გაფიცვას წარმოუდგენელ და შეუძლებელ რამედ სთვლიდნენ? ეს საერთო გაფიცვა ახლა გამოსცადეს და იგი საშინელი იარაღი გამოდგა. მთავრობას, რომელიც პროლეტარიატს ყოველთვის უმნიშვნელო ძალად აცხადებდა და რომელიც ძალად წართმეულ რეფორმებშიაც მუშა ხალხს შესაფერ მონაწილეობას არ ანიჭებდა,—ამ მთავრობას საერთო გაფიცვამ დაუმტკიცა, თუ რა შედეგი მოჰყვება იმას, თუ მუშა-ხალხი, ყველაფრის შემქმნელი, ცხოვრების საფუძველი და, ამისდა მიუხედავად, გარიყული, მართლაც ჩამოშორდება საზოგადო ცხოვრებას. საკმარისი იყო, რომ მუშები გულზე ხელდაკრეფილი დარჩენილიყვნენ, რომ მათ აღეკვეთათ მუშაობა, და თვითმპყრობელობის ტახტი შეირყა, და მეფემ ხალხს დაუთმო ის, რის დათმობასაც წინეთ არასგზით არ სთანხმდებოდა.

ის, რაც მოხდა და სამართლიანადაც მოხდა—საჭირო თავისუფლების მოსაპოვებლად—ყოველ ფეხის გადადგმაზე და ყოველ წვრილმან საქმეში არ უნდა განმეორდეს. მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ შეიძლება ისეთი შემთხვევა იყოს კიდეც, სადაც სამართლიანობის დასამყარებლად, მიღებულ უფლებების დასაცველად, მთავრობისაგან რეაქციის გაძლიერების და მის პროვოკაციის მოსასპობად ისევე სამართლიანი და საჭირო იქმნება ამ ძლიერ იარაღის გამოყენება.

რამდენჯერ გვიჩიჩინებდნენ და გვიჩიჩინებდნენ გამარჯვებულის სახით, რომ რევოლუციას აღარ შეუძლია ბარიკადებისა და აჯანყების დიდი იმედი იქონიოს, რომ დიდ ქალაქების ფართო ქუჩები, ჯარების გაუმჯობესებული შეიარაღება ქუჩაში ბრძოლას ხდის შეუძლებელადო, და მართლნიც არიან! მაგრამ ხალხმა, რომელიც სხვისი ბრძანებით ცხოვრებას ვერ იტანს, ახალი ძლიერი იარაღი გამოსჭედა ამ საქმისათვის და ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს დემოკრატიის და წინმსვლელობის ყოველი მტერი.

ამ იარაღის პირველსავე მოხმარებაზე თვითპყრობელობა დაემხო. იგი იძულებული შეიქმნა ანგარიში გაესწორებინა, მაგრამ თავის გაკოტრების გამოცხადება მას არ უნდოდა ისე, რომ თავის სიკვდილის შემდეგ მაინც თავის დამცირებისათვის ჯავრი არ ამოეყარა. ახალ სამინისტროს შესადგენად ვიტტეს მოწვევით მან უკვე გამოამჟღავნა თავისი საიდუმლო განზრახვა.

ეს ადამიანი, რომელიც მუდამ რეკლამებსა და თვალთმაქცობას ადგია, ფიქრობს, რომ ახალ წესწყობილების შემოღება შეიძლება ისევე, როგორც ბირჟაზე სპეკულიაციის მეთაურობა. ვიტტე ლაპარაკობს, ფრაზებს ისვრის, დაპირებებს იძლევა, საქმით კი არაფერი გამოდის. ამნისტია გამოცხადებულია და ციხეები კი დღესაც დატუსაღებულ მებრძოლებით სავსეა. პრესსის თავისუფლება გამოაცხადეს და ცენზურა კი დღესაც მოქმედობს, გაზეთებს სდევნიან. საყოველთაო საარჩევნო უფლებას ახსენებენ, ამბობენ, რომ ხალხის წარმომადგენლებს მათი შესაფერი მონაწილეობა მიენიჭებათ კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში, და ამასობაში კი ჩუმად ემზადებიან სათათბირო კრებულის მოწვევისათვის.

მაგრამ ამას არ კმარობენ რეაქციის მომხრენი. ტრეპოვი ჯერ კიდევ იქ არის: რეაქციის მომხრენი გრძნობენ, რომ რევოლუციის შეჩერება მათ აღარ ძალუძთ, მათ შეუძლიანთ მხოლოდ სისხლით მორწყონ თავისუფლების განთიადი, აიძულონ მშვიდობიანი ხალხი, რომ ხმა ამოიღოს თავის დასაცველად...

ასე იქცეოდა ყველგან კონტრ-რევოლუცია. ძველი წესების მომხრენი ყველგან ცდილობდნენ ძალმომრეობის გამრავლებას, საზოგადოების ნაძირალთა მომხრობას, გალოთებულთა მისევას ინტელიგენციაზე. მათი უკანასკნელი იმედია თვითპყრობელობისაგან გამხეცებულ საზოგადოების ნაძირალთა ჰომხრობა. ამ ნაძირალთა ბრბო იმათი შექმნილი არის, ვინც მათ თავის პრივილეგიების დასაცველად გამოიყენებს.

ზევიდან გაცემული ბრძანების თანახმად, პლევეს სისტემას მიმართეს. დღლები საბრძოლველად ხალხს აქეზებდნენ, კაზაკები და პოლიცია ოდესაში, როსტოვსა და კიშინევში თანხმობით მოქმედებდნენ მოწინავე ელემენტების საწინააღმდეგოდ. ისინი იარაღს არიგებდნენ, ხელმწიფის სურათსა და ხატებს. ადმინისტრაციისა და მთავრობის მოწყალე თვალის წინ ისინი ამზადებდნენ ტერრორს...

ყველამ იცის უკანასნელ დროის საშინელი ამბები. ამ ჯალათებს გადამდებ სენივით მოედო სიბრეცე. ქალები, ბავშვები და მოხუცები აწამეს,—ამ წამების უბრალო აღწერაც კი შეურაცხყოფს ადამიანურ გრძნობას. და აწინდელ რუსეთის წინ მთავრობა თითსაც არ ანძრევს და ხელს უწყობს მკვლელებს. სალდათებს, რომელნიც, საბედნიეროდ, ყოველთვის არ ემორჩილებიან უფროსებს, ნაბრძანები ჰქონდათ ესროლათ ტყვია არა ამ მძარცველ-მკვლელებისთვის, არამედ იმათთვის, ვინც თავს იცავდა, და თვით ექიმებისათვისაც კი, რომელნიც დაჭრილებს ჰპატრონობდნენ ქუჩებში.

ამ ჯოჯოხეთში ხელმწიფე სდუმს, გრაფი ვიტტე კი საქმის გაკეთების მაგიერად ყბედობს და ცდილობს ამ ავაზაკობის პასუხისმგებლობა თვით მოკლულებს გადააბრალოს, ცხადი კი არის ყველასთვის, რომ ნამდვილი პასუხის მგებელია აქ თვითპყრობელობა, ბიუროკრატია, ძველი რეჟიმის დამცველი.

ეკითხება თავის თავს ადამიანი,—როდისღა მოეღება ბოლო ამ ავაზაკობას? მთელმა კაცობრიობამ ზიზღი უნდა შეუთვალოს იმათ, ვინც ხელს უწყობს ამ სისხლის ღვრას. ან როგორ უნდა დაივიწყოს საფრანგეთმა, რომ იგი თვითონ რევოლუციების ქვეყანა არის და რომ ამიტომ იგი ვალდებულია იმათ ადევნოს თვალი, ვინც მის მაგალითს მისდევს და ცდილობს ძალით შემოიღოს თავისუფლება, რომ მისი კავშირი რუსეთთან მას ზნეობრივად ავალებს,—რუსეთში მცხოვრებ ხალხს ბრძოლის დროს თავისი დახმარება არ მოაკლოს. (ჰუმანიტე, 10 ნოემბერი).

## რას ესწრაფიან წითელი მედროშენი?

(გლეხთა კავშირის მოწოდებიდან)

ის ხალხი, რომელიც ქუჩაში წითელის დროშებით გამოდის, თხოულობს:

**1) მშრომელ ხალხის საკუთრებად უნდა გადავიდეს** მთელი მიწა-წყალი თავად-აზნაურთა, მოვაჭრეთა, სახაზინო, საუფლისწულო. 2) ყველა ქალაქებისა და სოფლების მშრომელ ხალხს, ქარხნებისა თუ ფაბრიკების მუშებს, სახელოსნოებისა თუ სამრეწველოების მომუშავეთ, სარდაფ-სამიკიტნოებისა თუ რესტორანების მოსამსახურეთ, ნოქრებსა თუ ხელზე მოსამსახურეთ უნდა მიენიჭოს:

**ა) რვა საათიანი სამუშაო დღე და კვირა-დღეობით სრული დასვენება.**

**ბ) რიგიანი ხელფასი, რომ ყველას ადამიანური ცხოვრება შეეძლოს.**

3) ყოველმა ღარიბ-ღატაკმა ოჯახობამ დაობლებისას ხაზინიდან დახმარება მიიღოს. 4) ქალაქის საბჭომ ქალაქის ყველა უბნებში ააგოს სახლები, სადაც ხელმოკლე ხალხისათვის ხელმისაწვდომი რიგიანი ბინები იქმნება. 5) თხოულობენ, რომ ქალაქმა ააშენოს თავშესაფრები, სადაც ყველა უსაქმოდ დარჩენილი და უბინაო ხალხი უსასყიდლოდ შეიფარებს თავს, უსასყიდლოდ ექმნება ვახშამი და საუზმე. 6) ისინი თხოულობენ ისეთ კანონის გამოცემას, რომელიც სავალდებულოდ გახდის, რომ ყველა სახელოსნოსა და სამრეწველო ადგილებში იქმნება სინათლე, სისუფთავე და მშრალი ჰაერი. 7) ისინი თხოულობენ, რომ ყველა ბავშვებს, ქალსა თუ ვაჟს, ობლებსა თუ მათხოვრებს, შეეძლოთ რიგიან სკოლებში სიარული და უფასოდ სწავლა, რომ ყველა ღატაკ ბავშვს სკოლებში უფასოდ ეძლეოდეს წიგნები, ტანისამოსი, საუზმე—ხაზინის ხარჯით. 8) ისინი თხოულობენ, რომ გაუქმებულ იქმნას მიწების გამოსყიდვა. 9) იმათა სურთ, რომ შაქარი, ჩაი, ღვინო, ნავთი, სპიჩკა, რკინეული და ფოლადეული გაიაფდეს. ამისთვის კი საჭიროა მოისპოს არა-პირდაპირი გარდასახადები მათზე, ე. ი. აქციზი.

წითელ დროშის ქვეშ მოსიარულე ხალხი თხოულობს, რომ ჩინოვნიკები, გენერლები, მინისტრები, ყოველი უფროსები და პოლიცია ჩამოშორდეს ხალხს, რომ მათ ხელში არ იყოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა. პოლიცია და ჩინოვნიკები უკანასკნელ სისხლის წვეთსა სწოვენ ხალხს, სძარცვავენ, ქვეყანას პირზე ტყავს აცლიან, ხალხს უვიცობის წყვდიადში სტოვებენ, სინათლეს არ აკარებენ; ხალხი სიღარიბისა და უცოდინრობის მორევში სცურავს მათის წყალობით. მათ წააცდინეს რუსეთი იაპონიასთან სამარცხვინო და გამათახსირებელ ომში. ამ ომში მათ ჩაჰღუპეს ხალხის ნაჭირნახულევი, ნაწვავნადავი, სამი ათასი მილიონი მანათი, მანჯურიის მიდამოებზე გასწირეს ოთხასი ათასი ჯარისკაცი.

ჩვენ ვთხოულობთ, რომ რუსეთს ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენელნი განაგებდნენ, რომ ყოველის მაზრიდან თითო წარმომადგენელი იყოს არჩეული,—მთელის რუსეთიდან შვიდასი წარმომადგენელი.

ჩვენ ვთხოულობთ ხალხის უფლება-მოსილობას, ხალხის გაბატონებას. ვთხოულობთ, რომ ქალაქის საბჭო, ქალაქის თავი და ქალაქის გამგეობა გადადგნენ. ისინი მსხვილ მოვაჭრეთა, სახლის პატრონთა და მდიდარ ხალხის მიერ არიან არჩეულნი. ჩვენ გვსურს ავირჩიოთ ახალი საბჭო, ახალი გამგეობა, ახალი მოურავი. არჩევნებში ქალაქის მთელი ხალხი მიიღებს მონაწილეობას, რომ უკანასკნელ გლახაკსაც უფლება ჰქონდეს ხმის მიცემისა. დეე, ხალხის მიერ არჩეული საბჭო განაგებდეს ქალაქის საქმეებს. ჯარი და პოლიცია უნდა დაექვემდებაროს ხალხის მიერ ამორჩეულ საბჭოს და არა გრადონაჩალნიკსა და გენერალ-გუბერნატორს, როგორც დღემდე იყო.

წითელ დროშის მომხრენი თხოულობენ: თავისუფლებას კრებისას, სიტყვისას, ბეჭდვისას, კავშირისას; სარწმუნოებისას (ანუ სინიდისის), გაფიცვისას. ჩვენ ვთხოულობთ პასპორტების მოსპობას, სასამართლოს წინაშე ყველას გათანასწორებას, სასამართლოში საქმეების ხალხის თანადასწრებით გარჩევას, რომ შეგვეძლოს სამართალში მივცეთ პოლიციელი თუ უფროსი მოხელე, რომ მოსამართლე სინიდისიერად სჯიდეს ყველას, განურჩევლად ხარისხისა, როგორც კანონის დარღვევისათვის, ისე დანაშაულობისათვის.

აი, რას თხოულობენ წითელი მედროშენი. ამ ბაირაღის ქვეშ შეკრებილია ქალაქის ერთი ნახევარი, ყველა ქარხნებისა და ფაბრიკების მუშა ხალხი, ნოქრები, ლაქიები, ხელზე-მოსამსახურენი და სტუდენტები.

ხალხის მეორე ნახევარი კი, უვიცობაში ჩაფლული, ღატაკი და ბეჩავი—პოლიციის მიჭკედლებია. პოლიცია აქეზებს მათ წითელ მედროშეთა წინააღმდეგ. პოლიცია ატყუებს მათ, ვითომ ჩვენ „მოღალატენი, მეამბოხენი, გამცემელნი“ ვიყოთ ვითომ ჩვენ „მეფის მოსპობა გვინდოდეს''.

მოსკოველებო! აქ მხოლოდ მეფეზე როდია საქმე! მეფე პეტერბურგში სცხოვრობს, რუსეთი კი ფართეა, უზარ-მაზარი. განა მეფე შესძლებს პეტერბურგიდან მთელი ქვეყანა განაგოს? მას დაუყენებია ყველგან პოლიცია და ჩინოვნიკები. ეს ჩინოვნიკები ჩვენს დამცირებულ, განაცარმტვერებულ ქვეყანას სისხლად სწურეტავენ. აი, ვის წინააღმდეგ ვიბრძვით ჩვენ, წითელ დროშის ქვეშ თავმოყრილნი.

დეე, ხალხის მიერ არჩეული რწმუნებულნი, ყველა ქალაქებიდან, ყველა მაზრებიდან შეყარნენ სატახტო ქალაქში და მოაწესრიგონ სრულიად-რუსეთის მართვა-გამგეობა!

# მიტინგები ტფილისში

**სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციის „უმცირესობის“ მიტინგი.**

კვირას, 13 ნოემბერს, ნაძალადევში მიტინგი ჰქონდა ტფილისის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციას (უმცირესობას). მიტინგს ჩვეულებრივ დიდძალი ხალხი დაესწრო, თუმცა სხვა ადგილებშიაც იყო დანიშნული სხვა ორგანიზაციების მიტინგები. განსახილველი საგნები იყო: 1) გრაფი ვიტტე და ლიბერალები და 2) ნამესტნიკი ვორონცოვ-დაშკოვი და ტფილისის ქალაქის თვითმმართველობა.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ გრაფ ვიტტეს მთავრობამ, რომელიც ბევრს სიკეთეს დაჰპირდა ხალხს, დაპირება არ განახორციელა, თავისს გარშემო იკრეფავს ბურჟუებსა და ლიბერალებს და პოლონეთისა და რუსეთის რამდენსამე გუბერნიებში იმ გვარსავე რეპრესიულ ზომებს ხმარობს, როგორითაც განთქმული იყო ძველი მთავრობა. საერობო და საქალაქო მოღვაწეთა მოსკოვის კრებამ უკვე გადასწყვიტა, გრაფ ვიტტეს მთავრობას მხარი მისცეს და ხელი შეუწყოს სახელმწიფო სათათბიროს განხორციელებას, თუმცა წინად, ივლისის კრებაზე პროლეტარიატთან ერთად დამფუძნებელ კრებას ითხოვდნენ. ამ საგნის გამო მიტინგმა ერთხმად შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „იღებს რა მხედველობაში 1) რომ მოსკოვში მესამე კრებამ საერობო და საქალაქო მოღვაწეებისამ, რომელთაც ეგრედ წოდებული კონსტიტუციონალურ—დემოკრატიული პარტია შეჰქმნეს, უარჰყო წინანდელი თავისი მოთხოვნილება—დამფუძნებელ კრების მოწვევა და გრაფ ვიტტეს მთავრობას დახმარებას ჰპირდება და მით ხელს უწყობს ძველ რეაქციონურ პოლიტიკას და 2) რომ ასეთი ნაბიჯი შედეგია ლიბერალების ჩაგონებისა, რომლებსაც ძალიან ეშინიანთ,—რუსეთში აგრარულმა მოძრაობამ არ იმატოს და რევოლუცია არ გაძლიერდეს იმდენად, რომ მისი ლოღიკური დასასრული, ესე იგი დემოკრატიული რესპუბლიკა არ დამყარდესო,—სახალხო მიტინგი, მოწვეული სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციის მიერ, ამჟღავნებს ლიბერალების მოღალატურ პოლიტიკას და მათს სურვილს—რომ ლიბერალურ სიტყვებით ხალხი დაამშვიდონ და გამოსტაცონ პოლიტიკური უფლებები—იწვევს ხალხს თავ-გამოდებულ ბრძოლისათვის.

წაკითხულ იქმნა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ბრძანება სამხედრო ოლქის მიმართ, რომელშიაც ნამესტნიკი ქება-დიდებას უძღვნის იმ იუნკრებსა და კადეტებს, რომლებმაც 22 ოქტომბერს ხალხის ამოჟლეტაში მონაწილეობა მიიღეს. ამ ბრძანების გამო მიტინგმა შესაფერი რეზოლუცია მიიღო და დაადგინა: მოსთხოვოს გრაფ ვიტტეს გრ. ვორონცოვ-დაშკოვის სამსახურიდან გადაყენება.

მიტინგზე აღიძრა საკითხი აგრეთვე იმის შესახებ, რომ ტფილისში, როგორადაც რუსეთის სხვა ქალაქებში, ხულიგანთა რიცხვი ერთობ გამრავლდა და მათ წინააღმდეგ საჭიროა ღონის-ძიებათა მიღება. ორატორებმა ერთად-ერთ საშუალებად ხულიგანურ ელემენტების ასალაგმავად სცნეს სახალხო მილიციის დაარსება და ისიც აღნიშნეს, რომ ამ საქმისთვის ფული უნდა გადასდოს ქალაქის საბჭომ. თავისს მხრივ ორგანიზაცია, რამდენადაც შეიძლება, ამ საქმეს ხელს უწყობს. მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლუცია.

„იღებს რა მხედველობაში 1) რომ ერთად-ერთ საშუალებას, რეაქციონურ-ხულიგანურ ელემენტების ასალაგმავად, წარმოადგენს ქალაქის მცხოვრებთა შეიარაღება, 2) რომ ერთად ერთი დაწესებულება, რომელსაც ამისათვის სახსარი შესწევს, ქალაქის თვითმმართველობაა და 3) რომ ახლანდელ ტფილისის ქალაქის საბჭო ცენზით არის ამორჩეული, წარმომადგენელია ბურჟუაზიულ ლიბერალიზმისა და არ შეუძლია ხსენებული საქმის ინიციატივა იკისროს, — სახალხო მიტინგი, აცხადებს რა, რომ ქალაქის საბჭოს არა აქვს ნდობა მცხოვრებთა უმრავლესობისა, მოითხოვს საბჭოსაგან, აარჩიოს საბჭოს ახალი ხმოსნები საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ კენჭის ყრით, განურჩევლად სარწმუნოებისა, ეროვნებისა და სქესისა, რათა შესდგეს ისეთი საბჭო, რომელსაც რევოლუციონური მოქმედება შეეძლება“.

**სოციალ-დემ. ორგანიზაციის „უმრავლესობის“ მიტინგი.**

ამავ დღეს ვერაზე მიტინგი ჰქონდათ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას (უმრავლესობას). განსახილველი საგანი იყო ,,პროლეტარიატი და თანამედროვე რევოლუცია''.

მიტინგის დაწყებისას თავმჯდომარემ სთქვა: ბევრს გაუკვირდება, რომ მათ ვერაზე მიტინგი მოიწვიეს, მაშინ როდესაც ამავ დღეს სოციალ-დემოკრატებს ნაძალადევში აქვთ მიტინგი. უფრო სამწუხაროა ეს მით, რომ ამ განმანთავისუფლებელ ხანაში საჭიროა თანხმობით მოქმედება, რათა შეერთებულის ძალით თავზარი დასცენ სასიკვდილოდ განმზადებულ ბიუროკრატიას; მაგრამ, სამწუხაროდ, „უმრავლესობა“ „უმცირესობასთან“ ვერ შეთანხმდა რამდენიმე ტაქტიკურ კითხვათა გამო, თუმცა მათ შორის შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკება გაიმართა და იმედიც არის, რომ ჩქარა შევთანხმდებითო“.

ორატორებმა თავიანთ სიტყვებში აღნიშნეს, თუ რაოდენად დაშორდნენ ერთმანეთს მანიფესტის შემდეგ პროლეტარიატი და ლიბერალები. პირველთ ჯერ არ უგემნიათ პირველი გამარჯვების ნაყოფი, ხოლო მეორეებმა სავსებით მოიპოვეს ის, რაც უნდოდათ. სახელმწიფო სათათბიროში ბურჟუა-ლიბერალები იქმნებიან მომეტებულ ნაწილად წარმომადგენლებად, ხოლო პროლეტარიატს, რომლის თავგანწირულმა ბრძოლამაც მოაპოვებინა გალაღებულ ბურჟუებს 17 ოქტომბრის მანიფესტი, წარმომადგენლებად მხოლოდ 30 კაცამდე ეყოლება. ამიტომაც არის, რომ ბურჟუა-ლიბერალებმა ახლავ ჩაჰკიდეს ხელი დღევანდელ მთავრობას და ეპაჭრებიან, რომ რუსეთის პოლიტიკურ თავისუფლებას მეტი გზა აღარ მისცენ.

ორატორებმა მოითხოვეს, რომ სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტი გამოუცხადონ და ყოველგვარი ღონისძიებანი იქმნეს მიღებული, რომ სახელმწიფო სათათბირო არ იქმნეს მოწვეული. მიტინგს რეზოლუცია არ შეუმუშავებია.

მიტინგზე ილაპარაკა საპიორის ბატალიონის სალდათმა და დაახასიათა ჯარის კაცთა ყოვლად აუტანელი მდგომარეობა.

## დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ

I

ბატონო რედაქტორო!

ტყიბულაში მცხოვრებმა მოვაჭრეებმა შეძლებისა და ღვარად მოვაგროვეთ ურთიერთ შორის ოცდა თექვსმეტი მანეთი (36 მ.) და გთხოვთ გადასცეთ ჩვენ სასიკვდილო თანამოძმე, უსამართლოდ აწიოკებულ გურულებს.

სია შემომწირველთა: ხუთი მანეთი: ილია ფოფხაძემ. სამ-სამი მანეთი: მიხაილ კბილაძემ, სოლომან ყუფარაძემ, ბესარიონ ღვინერიამ. თითო მანათი: ფირან ბოჭორიშვილმა, მარიამ მესხისამ, ნინა ნადირაძემ, ვასილა ცრეკიძემ, მერაბა ბაკურაძემ, იაკობ ფოფხაძემ, გიორგი ბრეგვაძემ, იაკობ აკოფოვმა, იოსკა ანდრიადიმ (ბერძენია), ნიკიფორ ჩხაიძემ, ტყიბულის პატარა მოსწავლეებმა. ათ-ათი შაური: კოტე ლაბაურმა, რაფიელ წერეთელმა, ანდრო სარდანაშვილმა, იაგორ ბადდინოვმა, ონისიმე კობახიძემ, გლახუა კობახიძემ, ნიკოლაი სალამბეგოვმა, ნიკო ბარველაიამ, სიმონ არსენიძემ, იორამ კობახიძემ, სამსონ დვალმა, პლატონ გაბრიჩიძემ, ილია გოცირიძემ, სევასტი ჯიშიაშვილმა, კოლა ჭანტურიძემ. ორ-ორი აბაზი: დიმიტრი ბაბუხადიამ. ექვს-ექვსი შაური: ლაზარე სოფრომაძემ, სილოვან გეწაძემ, კოლა კაჭკაჭოვმა, გრიგოლ კაჭკაჭოვმა, ზაქარია დვალმა, ერმინე ჯიშიაშვილმა. თითო აბაზი: სილოვან ბაბუხადიამ, ილიკო ჭანტურიძემ, პართენა მანაგაძემ, ბაგრატი ბრეგაძემ, პართენ ჭელიძემ, სეითო ლაშხია. ორი შაური: სილოვან საჯაიამ.

სულ 36 მანათი.

**ილია ფოფხაძე.**

II

ბატონო რედაქტორო! ჩემს მეზობლებს პაწია გურულებს, კაზაკები ალბად წიგნებსაც დაუწვავდნენ. ამიტომ მოგართმევთ 3 მანათს და გთხოვთ სამაგიერო უყიდოთ.

**მიშიკო ხუნდაძე.**

III

ბაქოდან მოგვივიდა არტემონ ლუას ძე დუმბაძისაგან—3 მან. და კოსტა დავითის ძე ცერცვაძისაგან—3 მან.

IV

ქ-ნმა ნინო ბაბუკაშვილმა შეჰკრიბა 8 მან. და 90 კაპ.

სია შემომწირველთა: თითო მანათი: ბ. ზ., მელიტონ მაქსიმეს ძე კუხიანიძემ, სიმონ გიორგის ძე ქოჩაროვმა, ივანე ფალავამ, ნინო გიორგის ასული იოსებიშვილისამ, ეკატერინე შათირიშვილისამ. ათ-ათი შაური: ნატალია ისაკის ასულმა პაატოვისამ, მარ. ანდრ. ასულმა ნასყიდოვისამ, დიმიტრი ატიაშვილმა, ალექსანდრე ხანდოლიშვილმა, ანნა კერესელიძემ. ორი აბაზი: თევდორე გოგიბერიაშვილმა.

სულ 8 მ. და 90 კაპ.

**დღევანდლამდე რედაქციაში გვქონდა 1389 მან. და 01 კაპ. ზემოდ ნაჩვენებ თანხიანად შესდგა 1442 მ. 91 კაპ.**

# ახალი ამბავი

ტფილისის ქალაქის **საბჭომ 5000 მან. გადასდო დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ.**

✦ საქართველოს ეგზარხოსის ლოცვა-კურთხევითა და ნებართვით, ძმობის საბჭომ გადასწყვიტა, გარდა ჩვეულებრივ სღვთისმეტყველო ლექციებისა, ყოველ კვირაობით ძმობის საბჭოს შენობაში (ანდრეევის ქუჩაზე), მგალობელთა გუნდის მონაწილეობით, გამართოს საზოგადო ხასიათის ლექციების კითხვა. ლექციების წაკითხვაზე **სურვილი განაცხადეს ტფილისში კარგად ცნობილმა პატრიოტმა მღვდლებმა**: ს. გოროდცევმა, ა. რაზუმოვსკიმ და პ. ბელოვიდოვმა და საეპარქიო ზედამხედველმა ა. ოდოევმა. გუშინ, 14 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, პირველი ლექცია დეკანოზმა ს. გოროდცევმა წაიკითხა. ლექციის ტემა იყო: „მეფის უფლება“ (თანახმად სამღვთო წერილისა). ლექციების მოსმენა უფასოა, მაგრამ დარბაზში შესვლისას ძმობის დაწესებულებათათვის საჭირო ფულს აგროვებენ.

✦ ტფილისის მოხელეთა კავშირში მონაწილეობას არ იღებენ **ტფილისის საკონტროლო პალატის მოხელეები**. ერთხანს მოხელეებმა დააპირეს კავშირში ჩაწერა, მაგრამ პალატის გამგემ ვ. ვ. იუშკევიჩმა მოხელეებს დარიგება მისცა და მას უკან არც ერთმა მოხელემ აღარ მოისურვა კავშირის წევრად ჩაწერა. ამ დღეებში პალატის გამგეს კიდევ ერთი ხერხი უხმარია მოხელეთა სამუდამოდ დასამშვიდებლად: ზოგ მოხელისათვის დაურიგებია ჯილდოსავით 15 მანეთი, ზოგისთვის 10 მანეთი, აგრეთვე მოხელეებისთვის ნება მიუცია სახელმწიფო ხარჯზე ჩაისა და ყავის დალევისა და სამუშაო დღე შეუმცირებია. წინად მოხელეები სამსახურში დილის ცხრა საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე იყვნენ, ახლა, მხოლოდ ორ საათამდის რჩებიან. ამ საგნის გამო მოხელეებს წინადადება შეაქვთ ტფილისის მოხელეთა მიტინგზე, რომ ყველა მოხელეებმა ბოიკოტი გამოუცხადონ საკონტროლო პალატის მოხელეებს.

✦ კვირას, 13 ნოემბერს, ნაძალადევში მიტინგი ჰქონდათ გაფიცულ **თერძებს, ხარაზებს**, და სხვათ. მიტინგზე შემუშავებულ იქმნა მოთხოვნილებანი, რომელსაც გაფიცულნი თავიანთ ადგებს წარუდგენენ.

✦ ტფილისში არსდება **რკინის გზის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი.**

✦ კურსკო-ხარკოვის-ჩრდილო რკინის გზის მოსამსახურეთა კომიტეტმა წინადადება მისცა ყველა რკინის გზის კომიტეტებს, კავშირთა კავშირს, რომელიც პოლონეთის ავტონომიასა და იქ საომარ დროის წესების გაუქმებას თხოულობს, არ მიემხროთ და გაფიცვა არ გამოაცხადოთ, რადგან ამას სახელმწიფო სათათბირო გადასწყვეტსო. ტფილისის რკინის გზის მოსამსახურეთა და სხვა ქალაქების კომიტეტმა ამის გამო **გრაფ ვიტტეს დეპეშები გაუგზავნეს**, რომლითაც ზიზღს უცხადებენ კურსკო-ხარკოვის ჩრდილოეთის რკინის გზის მოსამსახურეთა კომიტეტს და ითხოვენ სიკვდილით დასჯისა დ პოლონეთში საომარ დრო-

*) ქალაქის თავის მოადგილე ვ. ჩერქეზიშვილი. „ვოზროჟდენიე“ № 26. (ოტვეტ ნა პროტესტ ზუბალოვა).

ის წესების გაუქმებას, რაც 17 ოქტომბრის მანიფესტის აზრსაც შეესაბამებაო.

✦ ოთხშაბათს, 16 ნოემბერს, დილის ათ საათზე **დიდუბეში ტფილისის მებაღეთა მიტინგია დანიშნული.** საორგანიზაციო ბიურო სთხოვს პროგრესიულ ორგანიზაციებს, რომ მიტინგზე თავიანთი წარმომადგენელნი გამოგზავნონ.

✦ ტფილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულის საქალაქო სკოლის მოწაფეებს 8 ნოემბერ კრება ჰქონდათ და დაადგინეს, რომ დღეს, 15 ნოემბერს, **დაიწყონ სწავლა, მხოლოდ იმ პირობით კი,** თუ დანარჩენ სკოლების მოწაფენიც შესწყვეტავენ გაფიცვას და სწავლას შეუდგებიან.

✦ ტფილისის საარტისტო საზოგადოების თეატრის ანტრეპრენიორმა ბ. ნმა კრუჩანინმა დეპეშით სთხოვა რუსეთის მთავარ საცენზურო სამმართველოს: რადგან გარემოება შეიცვალა, ნება მომეცით, რომ ტფილისის სცენაზე წარმოვადგინო დღემდის **აკრძალული პიესები: „ფეიქრები“** ჰაუპტმანისა და „ებრაელები“ ჩირიკოვისა.

✦ ხმები დადის, რომ ტფილისის სასულიერო **სემინარიის რექტორი გრიგორი,** სემინარიაში მომხდარ ინციდენტის გამო თანამდებობას თავს ანებებსო.

✦ თუმცა კარგა ხანია საკანდიტეროების მოშუშავეთ, ერთხმივი მოთხოვნილების შემდეგ, მიეცათ ოთახის ქირა, მაგრამ იუზბაშევი მაინც არ იძლეოდა. ამიტომ გუშინ **მომუშავენი გაიფიცნენ** და მოითხოვეს ბინის ქირა. საკვირველია, რადა იუზბაშევი გაჯიუტდა და არ აკმაყოფილებს მომუშავეთა მოთხოვნილებას, როცა სხვა საკანდიტეროებში უკვე წესადაა დადებული.

✦ **დ. ხაშურიდან** გვწერენ: კვირას, 12 ნოემბერს, აქ გაიმართა **მრავალ რიცხვოვანი მიტინგი,** რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ აქაურ დეპოს მუშები, რკინის გზის მოსამსახურენი, სურამისა და ხაშურის მცხოვრებნი და დიდძალი გლეხკაცობა. ორატორები შეეხნენ სახელმწიფოს ახლანდელ მდგომარეობას და დ. ხაშურში 9 ნოემბერს სალდათების მიერ ხალხის აწიოკებას და მოითხოვეს დამნაშავეთა დასჯა. ასეთივე დიდი მიტინგი გაიმართა სად. გომში.

✦ **დ. ახალ-სენაკი.** სამშაბათს, 8 ნოემბერს, ადგილობრივ სამინისტრო სასწავლებლის შენობაში კრება იყო დანიშნული. კრებაზე ხალხი ნაკლებად გამოცხადდა. ერთმა მასწავლებელმა მარტივად აუხსნა ხალხს სკოლის ნამდვილი დანიშნულება და მისი დღევანდელი მდგომარეობა. უმეტესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა სამინისტრო სკოლების პროგრამა ძირიან-ფესვიანად შეიცვალოსო. სკოლის დროებით მზრუნველად და მეთვალყურედ ხალხმა სამი კაცი ამოირჩია: ნიკო ჯიჯიხია, ვახუ ლოლუა და ჩხეტია. სასულიერო სასწავლებელი დაკეტილია. აქედან ჯარი ჯერ არ გაუყვანიათ.

✦ ოზურგეთიდან გვწერენ: 8 ნოემბერს აქ ერთი **კაზაკი ატარებდა გასაყიდად ოქრო-ვერცხლეულს.** კაზაკი დაიჭირეს და გამოირკვა, რომ ნივთები ოქრომჭედლის ბოლიხოძის სახელოსნოდან მოუპარავს, საიდანაც დაკარგულია ნივთი 500 მანათისა. ნივთები აღმოაჩნდა აგრეთვე ოზურგეთის პოლკის მღვდლის „დენჩიკს“.

✦ ქიზიყი. განუწყვეტელ მოძრაობისაგან შეშინებულ-დაფრთხალი ბნელი ძალები, ნაძირალი ბოქაულები, მამასახლისები, „ობეზდჩიკები“, ტყის მცველ ყარაულები და სხვა სიღნაღში შეხიზნულან და შესჩივიან ადგილობრივ ადმინისტრაციას—ხალხი აჯანყდა, ცემა-ტყეპით გამოგვრეკა და თუ სოფლებში „ეგზეკუციას“ არ ჩააყენებთ, ჩვენ იქით პირს ვერ ვიზამთ, ხალხს ვეღარ დავენახვებითო. ადმინისტრაციაც კბილებს ილესავს, მაგრამ მომრიგებელმა-შუამავალმა ა. ჯორჯაძემ, წრეებას მოთავეებთან მოლაპარაკების შემდეგ, აუხსნა ადმინისტრაციას, რომ ქიზიყში იმის მსგავსი მოძრაობაც არ არის, რაც რუსეთის სხვა კუთხეებშია, და ქიზიყელთა წინააღმდეგ რეპრესიული ზომების ხმარება საჭირო არ არის. მთავრობა, მგონი, ჯერჯერობით დათანხმებულა.

✦ **შორაპანი.** 11 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე გაცარცვეს მე 43 ვერსზე ლიანდაგის ყარაულის ალექსანდრე ცერცვაძის სადგომი.

✦ **სად. ხაშური** 12 ნოემბერს, მე 14 ვერსის ლიანდაგის დარაჯს დაეცნენ და რაც რომ ჰქონდა წაართვეს.

✦ **სად. ულუხანლუ** 13 ნოემბერს ვიღაცამ გასტეხა ვაგონში არტელშიკის კასსა წაიღო: ფულად 89 მანათი 2500 მან. თამასუქი.

## შირინკინის განცხადება

„ცნობის ფურცლის“ მე-2943 ნომერში დასტამბულ ფელეტონის ავტორი ბრალსა მდებს 29 აგვისტოსა და 22 ოქტომბერს ტფილისში მომხდარ ამბებისა გამო. მაბრალებს აგრეთვე იმასაც, ვითომც მე „გამენადგურებინოს“ გორის მაზრა, „მიმეღოს უკიდურესი სასტიკი ზომები გურიის წინააღმდეგ“ და დასარბევად თათრები წამექეზებინოს.

რადგანაც ავტორის უმეცრებას შეუძლიან მკითხველები შეცდომაში შეიყვანოს, საჭიროდა ვსთვლი განვმარტო, რომ წესიერების აღდგენის პასუხისმგებლობა იმ ადგილებში, სადაც სამხედრო წესია შემოღებული, უმაღლესის ნებართვით დაკისრებული აქვთ დროებით გენერალ-გუბერნატორებს, ხოლო კავკასიაში კი—ნამესტნიკს და ეს გენერალ-გუბერნატორები არამც თუ მე—როგორც პოლიციის უფროსს,—არამედ მინისტრთა საბჭო კი არ ექვემდებარებიან. ასეთივე უფლებანი ჰქონდა მინიჭებული გორის მაზრაში წესიერების აღსადგენად გაგზავნილ პოლკოვნიკს ალფტანგს.

კავკასიის ამა თუ იმ მაარეში განსაკუთრებულ ზომების მიღებაც აღემატება ჩემის სამსახურის კომპეტენციას, თუნდ არ გავიხსენოთ ჩემი აზრი ამ ზომების შესახებ, რომელიც ნათლადა მაქვს გამოთქმული 19 აგვისტოს ჩემ მიერ გამოცემულ ცირკულიარში და საზოგადოებას უკვე მოეხსენება. რაც შეეხება იმ ბრალდებას, ვითომც მე თათრები ამეზავთებინოს,—ამის უარისყოფა მიმინდვია სომეხთა ადგილობრივ კოლონიის წარმომადგენლებისთვის, რომელთაც ძლიერ კარგად იციან ჩემი მოღვაწეობა სომეხ თათართა შორის მომხდარ შეტაკებათა საკითხში.

ყოველ შემთხვევაში მოვაგონებ „ცნ. ფურცელს“, რომ პრესსის თავისუფლება სრულებითაც არ ანთავისუფლებს ამ რედაქციას პასუხის გებისაგან სასჯელთა დებულების მუხლების ძალით და ცილისწამებისა და დიფამაციისათვის შეიძლება სამართალში იქმნას მიცემული (კავკ. № 283).

## ქალაქის ხმოსანთა კერძო თათბირი.

შაბათს, 12 ნოემბერს, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება არ შესდგა, რადგან საბჭოს დარბაზში ხმოსანთა კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა და მის მაგივრად ხმოსანთა და გარეშე პირთა კერძო თათბირი გაიმართა ქალაქის ახლანდელ საჭიროებებზე. ხმოსანი ხატისოვი აგონებს „მამებს“, რომ კარგა ხანია ნახიჩევანის სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის დროს დაზარალებულთა სასარგებლოდ საბჭომ 5.000 მანათი გადასდო, მაგრამ ეს ფული, დანიშნულებისამებრ, დღესაც არ გაგზავნილა, რის მიზეზიც არის ის, რომ მთავრობა საბჭოს ეუბნებოდა: ფული, დანიშნულებისამებრ გადასაცემად, ერთ-ერთ სასაზანო კომიტეტს გადაეციათო. ქალაქის საბჭო ამ ფულის დახარჯვაში თავის თავსაც კომპეტენტიურად სთვლიდა და სახაზინო კომიტეტს აღარ გაუგზავნა. ხმ. ხატისოვი წინადადებას აძლევს საბჭოს, რომ ეს საკითხი ჩქარა გადასწყდეს, მით უფრო, რომ დაზარალებულ გურულთა დახმარებაც გვინდა და არ, ვიცით ფული საიდან უნდა გადავცეთო. ხანგრძლივის თათბირს იწვევს ტფილისში მცხოვრებთა თავის დამცველ მილიციის შესახები საკითხი. ხმ. ბაბოვი წინადადებას იძლევა, რომ, როცა ეს საგანი არსებითად განხილულ იქმნება, უთუოდ მოწვეულ იქმნენ ყველა პროგრესიულ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი, რადგან ამ საქმეს, როგორც გავიგეთ, ისინი უკვე შესდგომიან და ჩვენც პრაქტიკულ გზას გვიჩვენებენ. შემდეგ ხმოსანი ბაბოვი დამსწრეთ უკითხავს თავისს მოხსენებას ამ საგნის შესახებ. მისი აზრით ამ საქმისთვის 15—20 ათასი მანათი უნდა გადაიდოს. ხმ. ხატისოვი ეკითხება ხმოსნებს, მილიციასთან ერთად პოლიციაც იქმნება თუ არა, თუ იქმნება, მაშინ მთავრობა მისს შესანახ ხარჯს ქალაქს გამოართმევს და მილიციასა და პოლიციის შენახვას ქალაქი ვეღარ შესძლებს. მხედველობაში აგრეთვე მიღებული უნდა იყოს, რომ პოლიციაც რომ დარჩეს და ქუჩებზე მილიციის წევრებთან ერთად იაროს, ამ ორ მოწინააღმდეგე ბანაკს შორის შეტაკებები გაიმართება. ხმ. ევანგულოვის აზრით, მილიციის დაარსება შეუძლებელია, სანამ არსებობს ის პოლიცია, რომელიც ხულიგანებს მფარველობას უწევს. რად შვრება ასე პოლიცია? იმიტომ, რომ იცის პოლიციის სულის ჩამდგმელი შირინკინი ამისათვის არ დასჯის. რაღად გვინდა პოლიცია, როდესაც თავისუფლება გვაქვს? რეჟიმის კვლავ გასამეფებლად? ხმ. ევანგულოვი თხოულობს, რომ პოლიციის შესანახ ხარჯზე ქალაქმა პირდაპირ უარი უთხრას მთავრობას. დასასრულ ხმოსანი წინადადებას აძლევს დამსწრეთ, მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადონ სადგურ ხაშურის მცხოვრებთ, რომელნიც 9 ნოემბერს ჯარის კაცებმაააწიოკეს და მოითხოვონ დამნაშავეთა აღმოჩენა და მათი დაუყოვნებლივ სამართალში მიცემა. ალ. ხატისოვი და დოლუხანოვი კვლავ ეხებიან თავის დაცვის საგანს და ამბობენ: როგორც ხმოსნებს, არ შეგვეძლება ამ საქმის განხორციელება-ინიციატივა ვიკისროთ საბჭოს გარეშეო. ხმ. არ. ბაბოვი წინადადებას იძლევა, ქალაქის თვითმართველობასთან დაარსდეს საზოგადო მშვიდობიანობის კომიტეტი, შემდგარი ხმოსნებისა და ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ საქმის ჩქარა განხორციელებას, ვინაიდან ეს საგანი დაგვიანებას აღარ ითხოვს. ვინმე მხატვარი აკოპიანი გაცხადებულია, რომ დამსწრენი ასე სასტიკად ჰკიცხავენ პოლიციას. ის მიმართავს დამსწრეთ, ერთი მაგალითი მაინც დაასახელონ პოლიციის ძალმომრეობისა, რაზედაც მთელი დარბაზი იოხიულის ხარხარით უპასუხებს. თათბირი სამს საათს გაგრძელდა. საბჭოს ხმოსანთა კრება ორშაბათს, დილის 11 საათისთვის, გადაიდო.

# რუსეთი

**პოლიტიკური პარტიები.** ყოველ დღე მთელ რუსეთში სულ ახალ-ახალი პარტიები და კავშირები სდგება. თუმცა მკიდრო ორგანიზაცია, ორიოდე პარტიის გარდა, ჯერ არც ერთ პარტიას არა აქვს, მაგრამ ცხადია, რომ მომავალ სახელმწიფო „დუმა“-ში მხოლოდ რამოდენიმე პარტიას მოუხდება შესვლა. ახლად დაარსებულ პარტიების უმეტეს ნაწილს ჯერ საბოლოოდ და გარკვეულად არა აქვს შედგენილი პროგრამა და ერთ, მთლიანსა და გამორკვეულ ჯგუფს არ შეადგენს, მაგრამ, როგორც ახლავე სჩანს, მომავალ საერო წარმომადგენლობაში შემდეგი პარტიები იქნებიან: **მარჯვენა** (კონსერვატორები და რეაქციონერები): 1) მონარქისტები („რუსთა კავშირი“), 2) რუს მრეწველთა და ვაჭართა პარტია; **შუაგული** (ცენტრი): 1) პროგრესიულ მრეწველთა პარტია, 2) პარტია „უფლებრივ წყობილებისა“ და 3) პარტია კონსტიტუციონალურ-დემოკრატებისა; **ზომიერი მემარცხენენი:** 1) რადიკალთა პარტია და 2) პარტია სოციალურ და ეკონომიურ რეფორმებისა; **უკიდურესი მემარცხენენი:** 1) რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია (ორივე ფრაქციით—„უმცირესობა“ და „უმრავლესობა“), 2) რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია; 3) სოციალისტ-ფედერალისტების პარტია (ქართველ ფედერალისტებისა, სომეხთა „დაშნაკციუტუნი“, პოლონელ სოციალისტთა და სხ.); გარდა ამისა, უკიდურეს მემარცხენეთ მიემხრობიან—ზოგიერთ კითხვაში მაინც—პოლონეთისა, მალოროსიისა, კავკასიისა და სხვა განაპირა ქვეყნების ავტონომისტები.

✦ **ახალი პარტიები.** ამ დღეებში პეტერბურგში შესდგა ახალი პოლიტიკური პარტია „რადიკალებისა“. ამ პარტიას უკვე დამფუძნებელი კრებაც ჰქონდა, რომელმაც დაახლოვებით შემდეგი პროგრამმა შეიმუშავა: რადიკალურ პარტიის აზრით, პოლიტიკურ წესწყობილების საუკეთესო ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. კონსტიტუციონურ წყობილების დროს პარტიას საჭიროდ მიაჩნია, რომ მინისტრები არჩეულ იქმნენ პარლამენტის უმეტესობიდან; მინისტრები პასუხისმგებელნი არიან საერო წარმომადგენლების წინაშე არა მარტო კანონის დარღვევის საქმეში, არამედ პოლიტიკურ მიმართულებაშიაც. პარტიას საჭიროდ მიაჩნია ერთპალატიანი პარლამენტი და ფართო ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომია განაპირა ქვეყნებისთვის.

მეორე პარტია ჯერ არ დაარსებულა, მაგრამ, დღეს, თუ ხვალ ოფიციალურად დაარსდება. ეს არის მუშათა პარტია. მისი პროგრამმაა: მუშათა მგომარეობის ეკონომიური და უფლებრივი გაუმჯობესება და ბრძოლა წინააღმდეგ კაპიტალისა და მთავრობის ძალმომრეობისა. წევრად შესვლა ამ პარტიაში მხოლოდ მუშებს შეუძლიანთ, ხოლო ინტელიგენციას კი—მხოლოდ თანამშრომლობა შეუძლიან. ამ პარტიის დამფუძნებულნი აღიარებენ და ქადაგობენ, რომ მუშათა საქმე თვითონ მუშების ხელში უნდა იყოსო.

**„პატრიოტების“ პარტია.** პოლონეთშიაც დაარსებულა „რუსთა კავშირის“ პარტიის კომიტეტი. კრებას დასწრებია მოხელენი, პოლიციელები და სხ. ყველანი ერთხმად ყვიროდნენ: „ძირს კავშირთა კავშირი! ძირს მოსკოვი! ძირს გაფიცვა! ძირს ყოველგვარი პროგრამმა!“ თავის ორგანოდ ამ პარტიის „პოლიციის გაზეთი“ გამოუცხადებია. კრებაზე ორიოდე ორატორმა ილაპარაკა პოლონელთა და რუსთა შორის სიყვარულისა და სოლიდარობის დამყარების შესახებ, მაგრამ „პატრიოტებმა“ უსტვინეს და გააჩერეს. კრების უმეტესობას თურმე პოლიციელები და მოხელენი შეადგენდნენ; საკვირველი არ არის, რომ მათ თბილ ადგილების დაკარგვა არ უნდათ.

✦ ამას წინად პოლონეთის რკინის გზების რუს მუშებმა დაადგინეს, წინააღმდეგობა გაუწიონ საერთო გაფიცვას და პოლონეთის ავტონომიას. ამ მუშების კრებას თავმჯდომარეობდა რუსი ინჟენერი. თვითონ კრება შესდგებოდა ხულიგანებისგან, რაიცა იმითაც მტკიცდება, რომ კრების დროს სხვა პარტიების წარმომადგენლებსა და წევრებს სცემეს და კრებიდან დაითხოვეს. ამის გამო რუსეთის მრავალ ორგანიზაციამ ზიზღი გამოუცხადა ამ ბრბოს. ლიბავო-რომენის რკინის გზის მუშებმა და მოსამსახურეებმა მიტინგზე დაადგინეს, პოლონეთისთვის ავტონომია მოვითხოვოთ და პოლონეთში მოსამსახურე რუს მუშებს, რომელთაც ზემოხსენებული საქციელი ჩაიდინეს, ჩვენი ზიზღი გამოვუცხადოთო.

ამ ამბის გამო სრულიად-რუსეთის რკინის გზების კავშირმაც გამოაცხადა თავისი გულისწყრომა იმ დეპეშის გამო, რომელიც ზემოხსენებულმა მუშებმა მთელ რუსეთის გზებს დაუგზავნეს, და პროვოკაცია უწოდა იმ ხმებს, ვითომ ავტონომია განცალკევებას ნიშნავდესო.

✦ **ახალი თვითმპყრობელობა.** ამ დღეებში პეტერბურგში კრება მოხდა ბეჭვდითი სიტყვის დამცველ კავშირის დელეგატებისა. კრებას პეტერბურგის ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები და წარმომადგენლებიც დაესწრნენ. კრება, სხვათა შორის, შეეხო სოციალ-დემოკრატიულ გაზეთის „ნოვაია ჟიზნ“-ის საქციელს. ამ გაზეთის რედაქციამ მუშათა დელეგატების საბჭოს სთხოვა, ამ დღეებში პეტერბურგში საერთო გაფიცვა მოხდება და, ნება მოგვეცით, გაფიცვის დროს მარტო ჩვენი გაზეთი გამოვიდესო. თითქმის ყველა დელეგატებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ გაზეთ „ნოვაია ჟიზნ“-ის საქციელი ამტკიცებს, რომ ამ გაზეთს ძველ რეჟიმის აღდგენა უნდა ახალ ფორმით. პლევე იმ გაზეთებს, რომელნიც მთავრობის მომხრენი იყვნენ, თავზე ხელს უსვამდა, სხვა გაზეთებს პირში ბურთსა სჩრიდა. ასევე იქცეოდა ბიუროკრატია, ასევე იქცევა ახალი სოციალ-დემოკრატიული გაზეთიც. ის ახალ რეჟიმით სარგებლობს და ახლავე არღვევს ამ რეჟიმის საძირკველს—ყველასთვის თანასწორობას და თავისუფლებას. „ნოვაია ჟიზნის“ რედაქტორმა მინსკიმ განაცხადა: ჩემი გაზეთი მუშათა პარტიის ორგანოა, და რადგან ამ პარტიამ მოახდინა საერთო გაფიცვა, ამიტომ იმის გაზეთსაც სხვა გაზეთებთან უპირატესობა უნდა მიეცესო. დელეგატებმა უპასუხეს, რომ პარტიას „ნოვაია ჟიზნი“ თავის ორგანოდ არ გამოუცხადებიაო. მინსკიმ განაცხადა, მე არა მსურს ბურჟუაზიის წარმომადგენელთა კრებას დავესწროო, და დარბაზიდან გავიდა. კრება ტაშის კვრით მიეგება მინსკის გადაწყვეტილებას. შემდეგ კრებამ დაადგინა, რომ შემდეგში საერთო გაფიცვა არ უნდა შეეხოს

# ფელეტონი

## სამხედრო უწყება.

წერილი პირველი

ჯერ რუსეთ-იაპონიის ომსა და შემდეგ „შინაურ მტრების“ დამშვიდებაში, ჯარმა და მისმა მოქმედებამ მთელი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

სამხედრო უწყება დღევანდლამდინ რაღაც განსაკუთრებული სამთავრო იყო რუსეთში, რომლის შინაური საქმეების გაცნობა შეეძლო მხოლოდ იმას, ვინც ნება-ყოფლობით ან ნება-უნებურად შიგ სამსახურში შევიდოდა, ხოლო ნანახისა და გაგონილის გამოქვეყნება, გამოქვეყნება არ შეეძლო.

დღეს ცოტაოდნად მოგვეცა შეძლება, რუსეთის ცხოვრების ყველა ბნელი კუთხე დავიაროთ და, თუ ვნახეთ სადმე უსუფთაობა, ქექქი, ბოროტ-მოქმედება, შეგვიძლიან ქუჩაში გამოვიდეთ და ხმა-მაღლა ვიყვიროთ „გვიშველეთ, მოგვკლესო“. თუმცა ჯერ-ჯერობით არავინ მიგვეშველება და ჩვენს ყვირილს ყურადღებას არავინ მიაქცევს, ამით მაინც ჩვენ არ შევშინდებით და ხმას არ ჩავიწყვეტავთ. ახლო მომავალში დადგება ის დრო, როცა ჩვენი ყვირილი ნება-უნებურად მიიქცევს ყურადღებას და მხედველობაშიც მიღებულ იქმნება.

სამხედრო სამსახურში ვიყავ ხუთი წელიწადი ჯარის კაცად, ვმსახურობდი პოლკში, ვიყავ დისციპლინარულ ბატალიონშიაც, სადაც ურჩობისთვის სასჯელის მოხსდელად გამგზავნეს. კარგად ვიცი ჯარის კაცის ცხოვრება, სამხედრო დისციპლინა, მისი მნიშვნელობა, მისი შინაარსი, მისი შედეგი, ვიცნობ კარგად მის უფროსებს, მათ მოღვაწეობას და საჭიროდ ვსცნობ, ჩემის ძალ-ღონის მიხედვით, გავაცნო მკითხველებს ეს მისთვის უცნობი მხარე, ჯარის კაცები და მათი შინაური ცხოვრება.

დავიწყობ იქიდან, სამსახურში როგორ მიმიყვანეს. უპირველეს ყოვლისა, დიდი ხვეწნა დამჭირდა აფიცერთან, რომ ნება მოეცათ ჩემთვის, ჩემი ფეხით მივსულიყავი პოლკში—სხვები, ძველი ჯარის კაცებით გარსშემორტყმული ტუსაღებივით მიიყვანეს. დაგვამწკრიეს ეზოში და დაგვიწყეს სინჯვა, როგორც ნაქირდალსა და ამხანაგებში დასაყოფს ცხენებს. ერთი მაღალ-მაღალი აფიცერი დადიოდა, ხელში დიდი ცარცი ეჭირა და გულზე, პირდაპირ ტანისამოსზე აწერდა დიდს ციფირებს 1-დან 16 მდე. ეს იმას ნიშნავდა, ვინ რომელ როტაში უნდა ჩარიცხულიყო. ზოგი ჩვენგანი გულ-გრილად ვაცქერდებოდით ამ ახლად მიღებულ „ჩინს“, მაგრამ ისინი, ვისაც დააწერდნენ რიცხვს 13, 4,15, უცბად შეკრთებოდნენ, გაფითრდებოდნენ და ტირილის ხმით დაუწყებდნენ დამწერს ვედრებას: მოიღეთ მოწყალება და ეს ნომერი გამოცვალეთო. საქმე იმაში იყო, რომ ჩვენ წინდაწინვე ვიცოდით (ერთმა ურიამ მითხრა, როსტოვში რომ ჩამოვედი, იქ მითხრესო), რა იყო ამ პოლკში მე 4, 13 და 15 როტები. გზაზე ყველა გვაფრთხილებდა, ეცადეთ, ამ როტებში არ მოხვდეთ, თორემ როტის უფროსი დაგჭამთო.

აფიცერი პირველად იცინოდა და ყველას თხოვნას ასრულებდა, ბოლოს და ბოლოს ეს შეუძლებელი გახდა, რადგან ამ როტებში ხომ უნდა დაენიშნათ ვინმე. საბრალონი იდგნენ ერთ ალაგას, დასცქეროდნენ გულზედ დაწერილ ციფირებს და თვალებიდან ღაპა-ღუპით ცრემლი გადმოსდიოდათ. ამ, მთელს რუსეთში განთქმულ როტების უფროსნიც იქვე იდგნენ, შესცქეროდნენ ამ სურათს და.... სირცხვილის მაგივრად, სახეზე სიამაყის ღიმილი მოსდიოდათ, რადგან ეს გარემოება მათ ვაჟკაცობადა და სამსახურის წმიდა მოვალეობის სინდისიერად ასრულების შედეგად მიაჩნდათ.

ბოლოს, როგორც იყო, დაგვარჩიეს და როტებში წაგვიყვანეს, მეორე დღესვე სამსახურის სწავლას შევუდგეთ. აქედან დაიწყო ჩვენი ტანჯვა, ბედის წყევლა, ცემა-ტყეპა, ტირილი და გოდება.

სამხედრო დისციპლინა შეიძლება სამი სიტყვით გამოვსთქვათ: უფროსი სჭამს უნცროსს. დავიწყოთ პოლკის უფროსიდან, რადგან თუ ზევიდან დავყევით, ძალიან შორს წავვივა საქმე. პოლკის უფროსი „тянетъ“ ბატალიონის უფროსებს, ესენი-როტის უფროსებს, როტის უფროსი—ფელდფებელს, ფელდფებელი—უნტერ-ოფიცრებს, ესენი — ეფრეიტორებს და ეფრეიტორები—დანარჩენებს.

ერთხელ თურმე სოფელში უეცრივ მიიჭრა ერთი თავადიშვილის მოურავი, მოუყარა ხალხს თავი და აღელვებულის ხმით გამოუცხადა: კნიაზმა სურამში პოლიციის ბოქაულს სილა გაარტყა, კნიაზს ციხეში იჭერენ, ჩქარა ფულიო. ერთი გლეხი ცოტა მოშორებით იდგა, თავი ჩაექინდრა და ჰფიქრობდა, ბოლოს თავი აიღო, გააქნ-გამოაქნია და მწარედ წარმოსთქვა: დასწყევლა ღმერთმა ჩვენი ბედი, სურამში სილა მოიქნიეს და ჩვენ აქ მოგვხდაო. ასეა საბრალო ჯარის კაცის ბედიც. თუ პოლკის უფროსი რაზედმე გაჯავრდა და ბატალიონის უფროსს რაზედმე შენიშვნა მისცა, ეს შენიშვნა ელექტრონივით ჩამოირბენს საფეხურზე და ბოლოს ჯარის კაცს მოხვდება ხოლმე. მაგრამ უბედურობა ის არის, რომ შენიშვნა გზა-და-გზა ძლიერდება, ფორმას იცვლის და ბოლოს ცემა-ტყეპად იქცევა ხოლმე.

პოლკის უფროსი ბრძანებას მისცემს ბატალიონის უფროსებს: ვაი თქვენ ტყავს, თუ როტებში სრული წესიერება არ იქმნა და ჯარის კაცებს სამსახური თუ ზეპირად არ ეცოდინებათო. ამას იტყვის სასტიკის ხმით, ფაფიშაჰივით გატრიალდება და პოლკიდან წავა. ბატალიონის უფროსები დაუყვლიან როტის უფროსებს და ამავე სიტყვებს, უკვე თავისით, იმავე სასტიკის ხმით გადასცემენ და ისინიც პოლკიდან წავლენ. ეს ბრძანება დაჰყვება და ბოლოს მივა ეფრეიტორამდისინ.

— აბა, გაჩერდით ახლა,—ეტყვის თავის ხელქვეითებს ეფრეიტორი და ტანში შესწორდება,— აბა ნუ ისწავლით, ისეთ სიცხეს მოგცემთ, რომ თქვენი თავი ცხელ აბანოში გეგონოთ!

ასე და ამგვარად აფიცრები პოლკებში თამაშობენ მხოლოდ ტელეფონების როლს. ხელსაც არ გაანძრევენ, რომ სალდათს რამე თავის პირით ასწავლონ, მათი ყოფა-ცხოვრება გაიცნონ, მათ გულში ჩაიხედონ და მძიმე მდგომარეობა, სამსახური ტკბილის სიტყვით მაინც შეუმსუბუქონ. სალდათის ბედ-იღბალი მთლად ეფრეიტერების და უნტერ-აფიცრების ხელშია, რომელთაც სცემენ და ასწავლიან, ესენიც თავის მხრივ სცემენ და ასწავლიან. ერთის სიტყვით რაც უყიდნიათ იმავეს ჰყიდიან. მათ ნაბრძანები აქვთ, ოთხი თვის განმავლობაში ამ სოფლებიდან ჩამოსულ ყმაწვილ-კაცებს, რუსს, მაჰმადიანს, ებრაელს, ქართველს, სომეხს, ოსს ასწავლონ წესიერად სიარული, თოფებით ვარჯიშობა, რაც ძალიან ძნელ ხელობას შეადგენს და შეასწავლონ ზეპირად, სიტყვა-სიტყვით გაუგებრად, როგორც კაჰკაჰს, დიდი წიგნი—სამხედრო წესები. რუსის „მუჟიკისთვის“, რომელმაც ასე თუ ისე რუსული ენა იცის, ეს მეტად ძნელ საგანს შეადგენს. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რა იქმნება ეს ოსისთვის ან ქართველისთვის, რომელმაც არც ერთი სიტყვა რუსული არ იცის და არც გაეგება. არა-რუსთ ისე შეასწავლიან ზეპირად ამ უშველებელ წიგნს, რომ ერთი სიტყვის მნიშვნელობასაც არ ეტყვიან, არ აუხსნიან, ხოლო თუ ზეპირად არ შეისწავლეს, ვაი იმათი ბრალი! ეს ხდება ასე: უფროსების მიერ დანიშნულ ვადას, უნტერ-აფიცრები ყურს არ უგდებენ. სწავლა რომ რვა საათიდან უნდა დაიწყოს, ისინი იწყობენ ხუთზე, როდესაც ზამთარში ჯერ კიდევ ბნელა, და, რომ უნდა გაათავონ შუადღის სამ საათზე, ისინი ათავებენ საღამოს ცხრა საათზე. გამოდის 16 საათი. ამ ხნის განმავლობაში სალდათი ხან თოფით ვარჯიშობს, ხან ზის ხის გრძელ სკამზე გამოჭიმული, გაუნძრევლად და შესცქერის თავის სულთამხუთავებს. ეფრეიტორი კი წამოწოლილა საწოლზე და ოსმალოს ფაშასავით ჰკითხავს რომელიმეს: что такое солдатъ?—солдатъ есть хога (слуга),—უპასუხებს აკანკალებულის ხმით ყაზანის მაჰმადიანი სალდათი— что?!слуга!—хога!—слуга!!схога—გაბრაზებული ეფრეიტორი წამოვარდება ზეზე ქარივით ეცემა საბრალოს, შემოჰკრავს სილას, წააქცევს, წამოაყენებს, კიდევ შემოჰკრავს, კიდევ წააქცევს.—ამას იქით იტყვი, როგორც უნდა!— ამბობს მასწავლებელი და ისევ საწოლზე წვება. აქ-იქ, სხვადასხვა კუთხეებში გაისმის სილების ლაწა-ლუწი და, თუ სადმე კუთხიდან ძლიერი სილის ტკაცუნი მოისმა, დანარჩენი ეფრეიტრები მიაძახებენ: такъ, молочина Кравченко, და ყველა სცდილობს ეს ქება დაიმსახუროს. არ დამიჯერებს მკითხველი, თუ ვიტყვი, რომ ამ მასწავლებლებს ცემით ხელის გულები რომ ეტკინებათ, სალდათებს ერთი-ერთმანეთს გაალახვინებენ ხოლმე.—აბა შემოჰკარ შენს ამხანაგს— ეუბნევა ის ერთ მათგანს. სალდათი ბრძანებას ასრულებს, მაგრამ ვერ გაარტყავს ისე, როგორც ეფრეიტორსა ჰსურს—აბა ახლა შენ გაარტყი!— ეუბნება სილის მიმღებს. ისიც ბრძანებას ასრულებს—ვერც შენ! არტყავ კარგად, აბა ახლა შენ! ახლა შენ, ახლა შენ და ასე, ამგვარად, სანამ ეფრეიტორი არ დაკმაყოფილდება ან არ მოსწყინდება ეს „კომედია“.

ყოფილა ბევრი მაგალითი, რომ სალდათი ფეხზე გაჩერებით გადაჯერებულა და გული შესწუხებია, ყოფილა ბევრი მაგალითი, რომ ცემისაგან სალდათს ყური გაჰფუჭებია, კბილი ჩავარდნია, მაგრამ ზევიდან რომ ტელეფონით ამბავი კარგად მოდის, ქვევიდან ველარ მიდის (უცნაური ტელეფონია). სალდათს საავადმყოფოში გზავნიან და საქმე ამით თავდება. ხოლო თუ დაშავებული გაბრიყვდა და როტის უფროსთან იჩივლა, თვითონვე დაისჯება.

ვინიცობაა სალდათმა ისეთი რამე ჩაიდინა, რომ ცემა მისთვის ცოტაა, მაშინ საქმეში როტის უფროსი ჩაერევა ხოლმე. ამ შემთხვევაში გამოძიება საჭირო აღარ არის, უნტერ-აფიცერმა სთქვა, მაშ მართალია, და როტის უფროსი ენერგიულ ზომებს იღებს, რომ როტაში სასტიკი დისციპლინა არ დაეცეს. მახსოვს ერთი შემთხვევა, არას დროს არ დამავიწყდება იგი: ერთი ქართველი სალდათი იყო, წყნარი, მშვიდი, საცოდავი არსება. მისდგა ერთ დღეს უნტერ-აფიცერი, როგორ თუ თოფის ვარჯიშობაში შეგცდაო, და თავსა და პირში უმოწყალოდ ცემა დაუწყო. საბრალო იდგა ხელებ ჩაშვებული „смирно“, მაგრამ მტარვალმა ცემა აღარ გაათავა, ბოლოს სალდათმა გაბედა და სეტყვასავით წამოსულ სილებს ხელი შეაშველა, ამ დროს უნტერ-აფიცერს მხარზე ღილი ავარდა. გაბრაზებული უნტერ-აფიცერი როტის უფროსთან გაიქცა და უთხრა: ამა და ამან ხელი შემაპიბრუნა და ღილი ამაწყვიტაო. როტის უფროსი, ს—ვი, ქართველი კაცი, როტაში არც კი შემოსულა, დასწერა „რაპორტი“ და თავისს უფროსს წარუდგინა. სალდათი სამართალში მისცეს, სალდათის ღირსება ჩამოართვეს და... ექვსი წლით კატორგაში გაგზავნეს. სამხედრო წესისამებრ, პოლკში მოიყვანეს და ჩვენ თვალწინ სალდათის ღირსება აჰყარეს, ე. ი. პაგონები ააჭრეს. საბრალო იდგა გადაფითრებული და როტის უფროსს თვალს არ აშორებდა, ბოლოს სთქვა: როტის უფროსს უნდა უთხრა რამეო, და როდესაც როტის უფროსი მიუახლოვდა, უთხრა: ჩემი დედის ცოდო შენს კისერზე იყოსო.

როგორც ჰხედავთ, მკითხველო, აფიცრები პოლკებში გარდა ტელეფონისა, ჯალათის როლსაც თამაშობენ!

აი, ასეთ უფროსების ხელში ვარდება ახლად მისული ჯარის კაცი და, რა საკვირველია, რომ, რითაც კი შეუძლიან, სცდილობს ამ ჯოჯოხეთური ცხოვრებიდინ როგორმე თავი დაახწიოს. რა გასაკვირველია, რომ სალდათი თვალებს იბრმავებს, ოცს კბილს ერთად იძრობს, თითს იჭრის, მდოგვსა სჭამს, რომ თავიდან აიცილოს სამსახური და, თუმცა სნეული, დასახიჩრებული, დაბრმავებული, თავის ოჯახში დაბრუნდეს და თავისუფლად ისუნთქოს. თუ არ ამ მიზეზით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთებს, რადგან გაზეთების უქონლობა ყველაზე მეტად გაფიცულებისათვის არის მავნეო.

✦ **ვიტტეს პასუხი** როგორც ვიცით, წინა დღით სანამ პოლონეთში სამხედრო წესების შემოღების გამო პოლონელთა დეპუტატებმა ვიტტე ინახულეს და მოელაპარაკნენ, ვიტტეს უთქვამს დეპუტაციისთვის: „ტყუილად მიხსნით პოლონეთის მდგომარეობას: მე ყველაფერი კარგად ვიცი. სამხედრო წესებს ვერ მოვსპობთ, რადგან მთელ პოლონეთში ნამდვილი რევოლუცია დაიწყო. ყოველ დღე ყუმბარებს ისვრით და რუსეთის ადმინისტრაციას ისე ექცევით, რომ აქ ადარავის ეცხოვრება. პირადად მე პოლონეთს ყოველთვის კარგად ვექცეოდი და არც ახლა შემიცვლია ჩემი აზრი. ყველა, ვინც კი მიცნობს, იტყვის, რომ მე არც პოლონელების ვემტერები და არც ებრაელების. მე ვეცდები, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი პოლონეთსაც შეეხოს და, შეძლებისადაგვარად, ენისა, კულტურისა და სარწმუნოების თავისუფლებაც მიენიჭოს. მთავრობა პოლონეთს ადგილობრივ ავტონომიას მისცემს, მაგრამ ადმინისტრატიულ თვითმმართველობაზე კი უარს ეტყვის. ამას ვერ დავითმობთ, რადგან თვითონ რუსეთის ხალხი აჰის წინაამდეგია. მაგრამ, ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ არ რეფორმებს მხოლოდ მაშინ შემოვიღებთ, როცა მთელი პოლონეთი დაწყნარდება. დაე, პოლონეთში ცხოვრება შესდგეს, დაე, რკინის გზები გაიფიცნენ, დაე, პოლონეთში ერთი კაციც ნუღარ დარჩება—სულ ერთია—მთავრობა არ დაგითმობთ. თქვენ თხოულობთ, რომ აკლების მიზეზები გამოიძიონ და დამნაშავენი დასაჯონ, მაგრამ ეგ გამოძიება მთელ წელიწადს გასტანდა. ნუთუ გგონიათ, ვითომ პოლონეთი გაბედნიერდებოდა რუსეთის ხალხიდან სხვის ხელში რომ გადასულიყო?“ ამით გათავდა ვიტტეს აუდიენცია.

# კორესპონდენცია

**ქიზიყელთა მიტინგი.** 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ჩვენში ბევრი საყურადღებო ამბები მოხდა, მაგრამ ამჟამად მე მოგწერთ იმ დიდებულ მიტინგის შესახებ, რომელიც 9 ნოემბერს სოფელ ჯუგაანში გაიმართა. ქვემო-ქიზიყის ყველა სოფლებში წინა დღეებშივე ხალხმა ჯვარსა, სახარებასა და წითელ დროშებზე შეჰფიცა ერთმანეთს, რომ არ უღალატებენ ერთმანეთს, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ, თავს დასდებენ, მხარს დაუჭერენ იმ განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელმაც მათ შვება უნდა შეაჩინოს და ბოლო მოუღოს მათ გამათახსირებელ, ადამიანურის უფლებებ შემხუთველ წესწყობილებას.

ამ საერთო ფერხულში ჩაბმამ, ურთიერთ ძმურის კავშირის განმტკიცებამ, ნამეტანის ძლიერებით იფეთქა, თავი იჩინა სოფელს ჯუგაანში 9 ნოემბერს, სადაც სხვადასხვა სოფლებიდან წითელის დროშებით, ათასობით თავმოყრილ, მოზღვავებულ ხალხის წინაშე მრავალი ღირს-შესანიშნავი სიტყვა წარმოითქვა ძველის რეჟიმისა და ახალ განმათავისუფლებელ მოძრაობის დასახასიათებლად. დიდებული სანახაობა იყო. ყველას სახეზე სიამოვნების ღიმი უკრთოდა, ყველა თავისუფლების წყურვილით იყო გამსჭვალული, ეტყობოდათ, გადაწყვეტილი ჰქონდათ მოიპოვონ თავისუფლება, რადაც უნდა დაუჯდეთ იგი. ორატორების სიტყვებს ხალხი „გაუმარჯოს თავისუფლებას“ ძახილით ხანს აძლევდა ადტაცებულად. ბოლოს მიიღეს რეზოლუცია, რომელიც ტელეგრამით გაცნობეთ.

## ოფიციალური განცხადება.

(დეპეშებით გადმოცემული)

1095 წლის 3 ნოემბრის უმაღლესი მანიფესტი და მას შემდეგ გამოცემული უმაღლესი ბრძანებები შეიცავენ პირველ ზომებს გლეხობის მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ნახევრად შემოკლება 1906 წლისა და სრულიად გაუქმება 1097 წლის მამულების გამოსასყიდ გადასახადებისა შეძლებას მისცემს გლეხებს თავიანთ განკარგულებაში იქონიონ 1906 წლის განმავლობაში 45 მილიონი, ხოლო შემდეგ წლებში 90 მილიონი მანათი, ვიდრე გამოსყიდვის ვადა გათავდებოდეს. ეს ვადა კი უმეტესობისთვის, იმათთვისაც, რომელთაც ვადების ვადა გადადებული არ ჰქონდათ, გათავდებოდა არა უადრეს 1931 წლისა. მამულების გამოსასყიდ გადასახადებას სრულიად გაუქმება გადაიდო 1907 წლამდე იმიტომ, რომ საჭირო ხაზინაში შესაფერი თანხა იყოს და ასეთ დიდმნიშვნელოვან საქმის გაკეთებაც ერთბაშად შეუძლებელი იყო. მთავრობის მოსაზრებანი გადასახადთა საქმის შესაცვლელად წარდგენილ იქმნება სახელმწიფო რჩევაში. 1904 წლის პირველ აგვისტოს მანიფესტით, წარსულ წელში დარჩა „ნედოიმკა“ სულ 10 მილიონი მანათი, ამას გარდა ეჭვი არაა რომ წლეულადაც დარჩება გადაუხდელი. ყველა ეს „ნედოიმკები“ დიდის ხნით გადაიდება და ცოტ-ცოტა, შეუწუხებლად გადახდება გლეხებს. გლეხების ხელში ხსენებულ ფულის დარჩენით და გამოსასყიდ გადასახადების გაუქმებით, გლეხები თავიანთ ნადელების მესაკუთრენი ხდებიან და ამნაირად უქმდება უთვალავი შევიწროება, რომელიც „გამოსასყიდ დაბენილებაში“ იყო. ეს არის მეორე საყურადღებო მხარე გლეხკაცობისადმი 3 ნოემბრის მანიფესტით ბოძებულ შეღავათისა. უმაღლესი ბრძანება გლეხთა ბანკის გაფართოვების შესახებ კიდევ უფრო შესაძლოდ ხდის უფრო ნაირ ზომებს იქმნეს მიღებული გლეხთა მიწათმფლობელობის გასაფართოვებლად. სახამ ამ საკითხს სახელმწიფო სათათბირო განიხილავდეს იმ გლეხებს, რომელთაც აქამდე თავისის ღონით უნდა შეეძინათ მიწა, ამის შემდეგ საშუალება ეძლევათ ამ მიზნისთვის სესხით ისარგებლონ. 3 ნოემბრის ბრძანებით ბანკის მოქმედებას—რომელიც გლეხებს შეაძლებინებს მიწა პირდაპირ მიწის მესაკუთრეებისგან შეისყიდონ, ის მიზანი აქვს, რომ მოაწყოს უმიწა-წყალო გლეხების მიწათმფლობელობის საქმე. გამოსასყიდ გადასახადთა გაუქმება პირველი ნაბიჯია საზოგადოდ გადასახადების საქმის მოსაწესრიგებლად, საგლეხო ბანკების ოპერაციების გაფართოვებაც პირველი საფეხურია გლეხთა მიწათ-მფლობელობის საკითხის გადაწყვეტაში. 3 ნოემბრის უმაღლეს ბრძანებათა გასაფართოვებლად მთავრობა თავის მოსაზრებებს სახელმწიფო რჩევასაც წარუდგენს, სადაც, სხვათა შორის, თავის საჭიროებათა ყველაზე უკეთესად მცოდნე გლეხებიც იქმნებიან და ამნაირად შეიძლება შესაფერი ზომების მიღება გლეხების საჭიროებათა განსახილველად, კერძო მესაკუთრეებთა უფლებების განსამტკიცებლად და საზოგადოდ სახელმწიფო საქმეების მოსაგვარებლად.

# დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოთაგან)

11 ნოემბერი.

**მოსკოვი, 11.** გამათი პოლონეთის საკითხის შესახებ. სელიგოვსკი (ვარშავიდან) პროტესტს აცხადებს იმ ბრალდების წინაამდეგ, ვითომ პოლონელებს განზრახვა აქვთ რუსეთს ჩამოშორდნენ. ეს ბრალდება შეთხზულია იმ აზრით, რომ პოლონეთში ძველი რეჟიმი დასტოვონ. პოლონელები მიმართავენ თავისუფალ რუსეთის ხალხს და სთხოვენ, მისცენ შეძლება პოლონელებს თავისუფლად იცხოვრონ და განავითარონ თავისი კულტურა. პეტრე სტრუვეს აზრით, ანარქიას, როგორც პოლონეთში, ისე რუსეთში, მოსპობს სამხედრო წესები კი არა, არამედ ლიბერალური მმართველობა და ავტონომია. უცხო ქვეყნების საქმეში ჩარევა საშიში არაა: რუსეთი შესძლებს მის მოგერებას. თავადი დოლგორუკოვი ამბობს, სეპარატისტობის ბრალდება ტყუილია, ავტონომია—სეპარატიზმი არ არის. სლავიანების სახელმწიფოთა მომავალ ფედერაციაში რუსეთი და პოლონეთი დიდ როლს ითამაშებენო. ბევრი სხვა ორატორებიც იმ აზრისანი არიან, რომ ავტონომიასა და სეპარატიზმში დიდი განსხვავებაა. კრასოვსკი (პეტერბურგიდან) საჭიროდ სცნობს, პოლონეთის საკითხი გარდასწყვიტოს სახელმწიფო საბჭომ.

**ბერლინი, 11.** „ტაგებლატტი“ არჩევს ერობისა და ქალაქების მოღვაწეთა რეზოლუციას და ამბობს: ამ რეზოლუციამ შეიძლება მისცეს ვიტტეს, ადგილზე გამაგრდესო. ნდობა გაბინეტისადმი ყველგან ძლიერდება; ეს შეუძლებელი იქმნებოდა, ვიტტეს საქმით რომ არ დაემტკიცებინა, რომ მართლა განზრახვა აქვს, რეფორმები განახორციელოსო.

**დმიტროვსკი, 11.** მაზრაში აგრარული მოძრაობა დაიწყო. ზოგიერთ მემამულეთა სახლკარს ანადგურებენ, ზოგან ტყეებს სჩეხენ. ამ ადგილებში კაზაკები გაგზავნეს.

**მოსკოვი, 11.** განზრახვა აქვთ მოიწვიონ ქალაქის მმართველობებში მოსამსახურეთა დელეგატების სრულიად რუსეთის კრება. კონსტიტუციონურ პროგრესიულ პარტიის კიევის კომიტეტმა და კრონშტადტის საბჭომ გაუგზავნეს ვიტტეს დეპეშები, სადაც უცხადებენ თავიანთ თანაგრძნობას, და იმედს გამოსთქვამენ, რომ ვიტტეს მოღვაწეობა ნაყოფს მოიტანს.

**პეტერბურგი, 12.** სინოდმა დაადგინა, გამოაცხადოს, რომ განზრახვა აქვთ სასულიერო სასწავლებლების რეფორმები მოახდინონ. რეფორმების შემუშავებაში მონაწილეობას მიიღებენ ეპარქიების უფროსები და სამოსწავლო საქმის მცოდნე პირები.

**მოსკოვი, 12.** ბირჟის საზოგადოების წარმომადგენელთა კრებამ დაადგინა, სთხოვოს ადგილობრივ მთავრობას, რომ მიიღონ ზომები ფაბრიკანტების კუთვნილების დასაცავად და ფაბრიკების დარბევის მოსასპობად.

**მოსკოვი, 12.** ტელეფონის სადგურის გაფიცული მოსამსახურენი დღეს ტელეფონზე მოსამსახურე ქალებს სადგურში არ უშვებდნენ. ალექსანდრე გუჩკოვმა ქალაქის მოურავის კანდიდატურაზე უარი განაცხადა.

**იაროსლავი, 12.** ქარხნებში მუშაობა დაიწყეს. მუშების ზოგიერთი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილეს.

**პეტერბურგი, 12.** საზღვაო მთავარ შტაბის ცნობა. კრონშტადტში მომხდარმა ამბებმა შავის ზღვის ფლოტშიაც იჩინა თავი. ადმირალ ჩუხნინის მოხსენებით, მატროსებმა, სოციალისტურ პროპაგანდის ზედგავლენით, სევასტოპოლში რამდენჯერმე დემონსტრაცია გამართეს. მოძრაობა ჯარებშიაც დაიწყო. კრებაზე მძიმედ დაიჭრა ადმირალი პისარევსკი. მდგომარეობა სერიოზულია, თუმცა დარბევისა და ძარცვა-გლეჯის შიში არ არის.

**ბორისოვი, 12.** 3 ნოემბრის მანიფესტმა გლეხები, ცოტა არ იყოს, დაამშვიდა.

**დონის-როსტოვი, 12.** ბირჟის კომიტეტმა ვიტტეს დეპეშა გაუგზავნა, სადაც გამოსთქვამს თავის სურვილსა და იმედს, რომ ვიტტე 17 ოქტომბრის მანიფესტს სასიკეთოდ განახორციელებს ამასთან თხოულობენ, რომ სახელმწიფო საბჭო, რაც შეიძლება, მალე იქმნას მოწვეული.

**იაროსლავი, 12.** ლიცეის სტუდენტებმა განცხადება შეიტანეს, რომ ლიცეი დაუყოვნებლივ გაიხსნას. საბჭომ არ მიიღო ეს თხოვნა და გარდასწყვიტა, 15 იანვრამდე ლიცეი არ გახსნას.

**პეტერბურგი, 12.** გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანება, რომლითაც შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის—პოლიციის გამგის—და პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობანი უქმდება. პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორი გარინი დაინიშნა პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად.

**პეტერბურგი.** სრულიად რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო კავშირის პირველ კრებაზე დაადგინეს, გაუგზავნონ ვიტტეს შემდეგი დეპეშა: „ეს არის ახლა შესდგა სრულიად რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო კავშირი. პირველმა კრებამ, რიცხვით 700 კაცმა, დაადგინა, გაცნობოთ თქვენ, რომ კავშირი უთვალავის ღონისძიებით ეცდება მხარი დაუჭიროს მთავრობას 17 ოქტომბრის მანიფესტში აღიარებულ პრინციპების განხორციელებაში“.

**ნოვოჩერკასკი, 12.** თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ ახლად შემდგარი კაზაკთა ოთხი პოლკი დონიდან არსად გაგზავნონ, რადგან მათი ყოფნა აქ საჭიროა.

**ბათუმი, 12.** 17 ოქტომბრის მანიფესტის გამო ქალაქს განზრახვა აქვს აგოს სახალხო სახლი.

**თეირანი, 12.** რუსეთში უკანასკნელად მომხდარმა ამბებმა გავლენა იქონია თეირანშიაც. მეჩეთებში სამღვდელოება სასტიკად ჰკიცხავს სახელმწიფოს არსებულ წესწყობილებას და თხოულობს კონსტიტუციას.

**პეტერბურგი, 12.** მთავარი გაზეთ „იუჟნოე სლოვო“-ს რედაქტორი გროსმანი, რომელიც წარუდგენს ვიტტეს მოხსენებას ოდესაში მომხდარ აბრაელების დარბევის შესახებ.

**სიზრანი, 12.** ფოსტის მოსამსახურენი, 8 კაცის გარდა, შეუერთდნენ ფოსტა-ტელეგრაფის სრულიად-რუსეთის კავშირს და კრებაზე დელეგატები გაგზავნეს.

**მოსკოვი, 12.** ლეფერტოვისა და სოკოლნიკის რაიონებში მუშათა მოძრაობა ჯერაც არ შეწყვეტილა. მუშებმა გაანადგურეს ფაბრიკა, არეის დუქნები და რამდენიმე მაღაზია. გაფიცულ მოსამსახურეთა რიცხვი 5,000-მდე ავიდა. გაფიცულნი არიან მომეტებულად ქალები, დადიან ქუჩა-ქუჩა და სახლებიდან მომუშავენი და მოსამსახურენი გამოჰყავთ.

**ვარშავა, 12.** მუშების ოთხმოცდა-ათი პროცენტი მუშაობას დაუბრუნდა.

**კელცი, 12.** ოლკუშის მაზრის დაბა სლავკოვი 12 დღის განმავლობაში რევოლუციონერების ხელში იყო. დაბის მცხოვრებლებმა ინჟინერ სვიკოვსკის ზედგავლენით შეადგინეს კომიტეტი, რომელიც განაგებდა საზოგადო საქმეებს, შეადგინეს მილიცია, დახიეს გმინის სამმართველოში მათის უდიდებულესობის სურათები, დახურეს სკოლა და სხვა. გაგზავნილმა დრაგუნებმა წესიერება აღადგინეს. სვიკოვსკი დააპატიმრეს.

**პეტერბურგი, 11.** გაზეთ „უაზბეკ“-ში და „რუსკოე სლოვო“-ში დაბეჭდილი იყო, რომ 4 ოქტომბერს შინაგან საქმეთა მინისტრმა და ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ გამგეობის უფროსმა გაუგზავნეს დეპეშები ფოსტა-ტელეგრაფის ოლქების უფროსებს, სადაც წინადადებას აძლევენ მათ, კანტორებში მოსამსახურე ზოგიერთი მოხელე შეისყიდონ, ზოგი დაიჭირონ, მათი სადგომები დასჩხრიკონ, სხვა ბოროტ-მოქმედებანი დასწამონ და სხვა. ეს დეპეშა, რომელსაც ავტორმა ოფიციალურ განკარგულების ფორმა მისცა, გამოგონილია და არც ერთი სიტყვა შიგ მართალი არ არის.

**მოსკოვი, 11.** ერობისა და ქალაქების მოღვაწეთა სადამოს კრებაზე ოპპოზიციამ საშინლად დაამარცხა უფლებრივ წყობილების პარტია გუჩკოვისა. კრებამ მიიღო მთელი რეზოლუცია რუსეთის დასამშვიდებლად ზომების შესახებ შემდეგი შესწორებით: გაუქმდეს განსაკუთრებული კანონები, გაძლიერებულ დაცვის წესები და სხვა, განსაკუთრებული კანონები, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს ცალკე კრებას, გაუქმდეს ადმინისტრაცია. ყველა მინისტრი, სასახლის მინისტრის გარდა, დაექვემდებაროს მინისტრთა საბჭოს, პოლიცია გარდაეცეს ერობასა და ქალაქებს და ამნისტია გავრცელდეს ყველა პოლიტიკურ დამნაშავეზე, რომელთაც რამე ჩაიდინეს, როგორც მანიფესტამდე, ისე მის შემდეგაც.

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანებით, კიევისა და ოდესის არეულობის მიზეზებისა და მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენელთა მოქმედების გამოსარკვევად გაიგზავნებიან სენატორები—ტურაუ - კიევში და კუზმინსკი—ოდესაში.

დაინიშნენ: ტფილისის ვიცე-გუბერნატორი ალიშევსკი—ბაქოს გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად; სიმფეროპოლის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე კოროტკოვი—ვილნოს სამოსამართლო პალატის პროკურორად; პეტერბურგის ქალაქის მოურავის ამხანაგი რეზცოვი—პეტერბურგის ქალაქის მოურავად მომავალ ექვსის წლის განმავლობაში; მოსკოვის ვიცე-გუბერნატორი, ლეიბ-გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკის პოლკოვნიკი ჯუნკოვსკი—მოსკოვის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად.

**პეტერბურგი.** მთელი კვირის განმავლობაში, 3-დან 9 ნოემბრამდე, პროვინციის მხარეში ხოლერით ავად გახდა 23 კაცი, გარდაიცვალა 3.

**პეტერბურგი.** შესდგა მეორე კრება მუშათა უფლებრივ წყობილების პარტიისა. თავმჯდომარეობს—დობროტვორსკი, მომხსენებლობა—პოლოვცევა. პარტიულის მოსაზრებით კრებამ დაადგინა, რომ 1) რვა საათის სამუშაო დღე შეუძლებელია, მაგრამ საჭიროა მინიმუმის დადგენა; 2) საჭიროა მუშების ადგილობრივ დაზღვევა; 3) ეკონომიური გაფიცვები თავისუფლად უნდა მოქმედებდნენ, გარდა ისეთებისა, რომელნიც საზოგადო მშვიდობიანობას და ხალხის წყობას არ არღვევენ.

**სევასტოპოლი, 12 ნოემბერი.** დარბევა არ მომხდარა. მაღაზიები დაკეტილია.

**სიმფეროპოლი, 13 ნოემბერი.** სევასტოპოლამდე რკინის გზა აღარ მოქმედობს.

**ვლადივოსტოკი, 12 ნოემბერი.** ჩუსკინის ნახევარ კუნძულზე, სადაც დროებით მოთავსებულია პორტ-არტურის ტყვეები, აშკარა აჯანყება მოხდა, რომელიც გათავდა ორის ოფიცრის მოკვლითა და ხუთის დაჭრით.

**მოსკოვი, 11.** საერობო კრების ბიურომ წარადგინა რეზოლუციის პროექტი პოლონეთის საკითხის შესახებ. კრება არ ეთანხმება მთავრობის განკარგულებას და იმ აზრს, რითაც ხელმძღვანელობდა მთავრობა, როდესაც პოლონეთში სამხედრო წესები შემოიღო, და საჭიროდ სცნობს, დაუყოვნებლივ გაუქმებულ იქმნას პოლონეთში სამხედრო წესები და პოლონეთის ავტონომიის საკითხი გარდაეცეს ხალხის წარმომადგენელთა პირველ კრებას; შემოღებულ იქმნას, როგორც დროებითი ზომები, პოლონური ენა პირველდაწყებით სკოლებში, გმინის თვითმართველობაში და გმინის სასამართლოებში.

**ვლადივოსტოკი, 11.** მაღაზიებმა ვაჭრობა დაიწყეს დარბევისაგან გადარჩენილ საქონლით. ჯარების უფროსმა გაანთავისუფლა სათადარიგო ჯარის კაცები სწავლისაგან და ნება მისცა, სამუშაოდ გავიდნენ ქალაქში. ვლადივოსტოკის გენერალ-გუბერნატორმა აკრძალა ქალაქში არაყისა და სპირტის შემოტანა.

**მოსკოვი, 12.** გლეხების კრებამ დაადგინა, ხალხის მტრებად ჩასთვალოს ყველა, ვინც კი სახელმწიფო საბჭოში არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს. არჩევნები უნდა მოხდეს მხოლოდ დამფუძნებელ კრებაში.

**ნოვოჩერკასკი, 12.** სოფელ ვოლოშინოს გლეხებმა დაატუსაღეს 60 მეტი აგიტატორი, რომლებიც სცდილობდნენ აგრარული მოძრაობა გამოეწვიათ, და პროკურორს მისწერეს დეპეშა. თხოულობენ გამოძიების დანიშვნას.

**პეტერბურგი, 13.** მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა გზათა მინისტრის მიერ წარდგენილი პროექტი, რომლითაც უნდა გადაიდოს 15 მილიონი რკინის გზებზე მოსამსახურეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

**მოსკოვი, 13.** ერობისა და ქალაქების მოღვაწეთა კრებამ მიანდო ბიუროს, წარმოუდგინოს მომავალ კრებას ლიტვისა, საქართველოსი და სხვა განაპირა ქვეყნების ავტონომიის პროექტები. სადამოს კრებაზე განიხილავენ ებრაელების საკითხს.

**სევასტოპოლი, 13.** სახელმწიფო დაწესებულებებს ჯარი იცავს, ბულვარზე არტილერია სდგას. როგორც ეტყობა, მშვიდობიანობა დამყარდება.

**ხარკოვი, 13.** უნივერსიტეტში მიიღეს თავისუფალ მსმენელად 87 ქალი.

**სევასტოპოლი, 13.** ხმება დადის, რომ დატუსაღებულნი არიან ციხის კომენდანტი და დივიზიის უფროსი. ნამდვილი არავინ იცის. ბევრი ოფიცერია დატუსაღებული. შუადღის 4 საათზე სალდათებმა, მატროსებმა და მუშებმა მიტინგი გამართეს. წითელ ბაირაღებითა და პოლკის სამხედრო მუსიკით მიტინგმა მშვიდობიანად ჩაიარა. იქვე იდგა შეიარაღებული ბელოსტოკის პოლკი, რომელიც მიტინგში მონაწილეობას არ იღებდა. მცხოვრებლები ქალაქიდან მიდიან. სადამოზე აჯანყებულებმა მატარებლების მიმოსვლა შესწყვიტეს.

**სიმფეროპოლი, 13.** მოვიდა მრავალი ხალხი სევასტოპოლიდან. ლიტვის პოლკის ერთი ნაწილი სევასტოპოლში გაგზავნეს.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.


# განცხადებანი

## რკინის გზის გამგეობა

იწვევს მსურველთ 16000 ფუთი ხის ნახშირის ჩასაბარებლად. ფასები უნდა განაცხადონ დაბეჭდილ კონვერტებში ზედ-წარწერით: „въ Совѣтъ Управленія Зак. ж. дорогъ заявленіе цѣнъ на уголь деревянный“ 12 საათისათვის 22 ნოემბერს.

ნახშირი უნდა ჩაჰბარდეს ტომრებით, რომლებიც უკანვე დაუბრუნდებათ პატრონებს 4 თვის შემდეგ ჩაბარებისა.

დაწვრილებითი ტეხნიკური პირობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, რკინის გზის გამგეობაში მატერიალურ განყოფილებაში დილის 9-დან 3 საათამდე, ელისაბედის ქუჩაზედ საკუთარი სახლი.

(3—1).

საყმაწვილო ჟურნალი

## ნაკადული

სურათებით

წელიწადი მეორე. წელიწადი ითვლება ნოემბრიდან ნოემბრამდე.

**ხელის მოწერა მიიღება** რედაქციაში, წ.-კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარიამ დემურიას ბინაზე—ალექსანდრეს ქუჩა, № 5.

რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა 5 მან. ცალ-ცალკე—სამ-სამი მანეთი. ნახევარის წლით: ერთად—2 მან. 50 კაპ., ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ. თვეში 50 კ. ცალ-ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის—15 კაპ. მოზრდილთათვის 25. წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანათი შემოიტანონ.

შარშანდელი მთელი წლის ნომრები იყიდება სამ მანათად.

პირობებზე მოსალაპარაკებლად რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“.

რედაქტორი მარიამ ივანეს ასული დემურიასი.
გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

## მასწავლებელთა საყურადღებოდ.

დაიბეჭდა და იყიდება ე. ხრამელაშვილის მიერ ახლად შედგენილი

## არითმეტიკული კრებული

პირველ დაწყებით სკოლებისათვის ნაწ. I (მოქმედებათა შესწავლის მეთოდით). ფასი ერთი აბაზი.

ვინც 20 ცალს ერთად იყიდის, მ ნათზე აბაზი დაეთმობა.

საწყობი სოსიკო მერკვილაძესთან. ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“, ქაშვეთის ქ., სახლი არჯევანიძისა.

მისამართი: Книжный магазинъ „Цодна“.

(20—8)

## სკოლა და სახელოსნო ჭრა-კერვისა და ხელ-საქმისა

## გადავიდა

მამადავითის ქუჩაზე, ვრიგორაშვილის სახლებში ბაღის პირდაპირ, № 5.

ვიღებ ქალთა ტანისამოსს შესაკერად, ვიყვან შეგირდებს ჭრა-კერვის და ხელსაქმის შესასწავლად ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებში.

სამკერვალოს გამგე ანნა მერკვილაძისა.

(20—6)


უნდა ნახოთ, რა სახითა და კილოთი ელაპარაკება ოფიცერი სალდათს, რა ზიზღით ათვალიერებს თავიდან ფეხებამდის, რანაირად ათახსირებს, ჰკლავს მასში ადამიანის პიროვნებას, რა უშვერის პირით ლანძღავს, რამდენ გვარ შეურაცხყოფობას აყენებს! ოფიცრის ცოლები? ბევრჯელ მოჰქრილა პოლკში, პოლკის უფროსთან საჩივლელად რომელიმე ოფიცრის „დენშჩიკი“ თავგატეხილი: ოფიცრის ცოლმა თავში უთო დამარტყაო. რუსული ანდაზა: „мужъ и жена одна сатана“ ყველაზე მეტად ოფიცერზე და მის ცოლზე მართლდება. ოფიცრის ცოლი ამ შემთხვევაში აჭარბებს ქმარს. ის სალდათს უყურებს, როგორც ქმრის ავეჯს, როგორც მონას, რომელზედაც, გარდა გაყიდვისა, მის ქმარს ყოველგვარი უფლება აქვს. იგი ხარივით ამუშავებს „დენშჩიკს“, ყოველ გვარ ბინძურ საქმეს აკეთებინებს და, „დენშჩიკი“ წელებზე რომ ფეხებს იდგამდეს, ქალბატონი მაინც კმაყოფილი არაა, მისი გულის მოგება შეუძლებელია. მაინც ლანძღავს, მაინც აგინებს და, გალახვას თუ თვითონ არ აკადრებს, ქმარს ალახვინებს. საზოგადოდ ოფიცრის ცოლებს ჰგონიათ, რომ სალდათებზე რა უფლებაც იმათ ქმრებს აქვთ, ის იმათაც აქვთ. ერთხელ ერთ სალდათს, კარგი ოჯახის შვილს, საშუალო სასწავლებელში კურს დამთავრებულს, შეხვდა ქუჩაში ერთი გამოპრანჭული ქალი და თითი დაუქნია: эй, солдатъ, поди сюда! სალდათი მივიდა,—ты знаешь капитана №№?—ჰკითხა ქალმა და თან ზიზღით ათვალიერა,—знаю—უპასუხა სალდათმა—а, на что тобѣ! უნდა გეყურებინათ ქალის გაფთრება, მთელი ქუჩა შეჰყარა.—იცი შენ, მე ვინა ვარო!—იყვირა ქალმა.—ახლა შენ იცი, მე ვინა ვარო?—უპასუხა სალდათმა.

აი, ამ გვარად ეპყრობიან სალდათს. ასე სთელიან ფეხ-ქვეშ „სალდათის საპატიო წოდებას“. ამ გვარ პირობებში ზრდიან ჯარის კაცებს და რა გასაკვირველია, რომ სალდათის გულში წლობით დაგუბებული ბოროტი გრძნობა ხანდახან გადმოჰხეთქავს ხოლმე იქ, სადაც საჭირო არ არის და რომ იგი ჰხდება მხეცად, რომლისთვისაც სისხლის წყურვილის ინსტიქტის გარდა, სხვა არავითარი გრძნობა არ არსებობს.

ამ დასკვნამდე რომ მივიდეთ, ეს მასალა არ კმარა,—არის კიდევ ბევრი რამ სალდათის ცხოვრებაში, რომელიც საჭიროა იცოდეს საზოგადოებამ და რომელიც დღემდის მისგან იმალებოდა და ამაზე შემდეგ წერილში მოგითხრობთ.

სათადარიგო ჯარის კაცი.

მაშ რით აიხსნება ის გარემოება, რომ გლეხი, რომელსაც სახლში არც უკეთესი ჭამა-სმა აქვს, არც უკეთესი ძალი, უფრო ჭკუყიანად იცვამს, მეტსაც უნდა მუშაობდეს და მეტ გაჭირებაშიაც ჰყავს, სამსახურს თავის დასნეულებასა და დასახიჩრებას ამჯობინებს.

მთელი კვირის განმავლობაში ახლად მისულ ჯარის კაცს ერთი წუთი არა აქვს თავისუფალი, რომ სული მოითქვას, დაჯდეს და თავის მდგომარეობას ჩაუფიქრდეს. მთელი დღე სწავლაშია, მხოლოდ საღამოს 9 საათზე თავისუფლდება და ისიც ისე დაღალულ-დაქანცულია, რომ, როგორც კი მისდებს ბალიშზე თავს, მაშინვე მიიძინებს. მხოლოდ კვირა-უქმე დღეს აქვს რამდენიმე საათი თავისუფალი და აი ამ თავისუფალ დროს იგი უფრო საცოდავია, უფრო შესაბრალისი, ვიდრე მაშინ, როდესაც მას უნტერ-ოფიცერი სცემს. მიჯდება სადმე კუთხეში, გახსნის თავის ყუთს, სადაც სახლიდან წამოღებული ნივთები ულაგია, დასცქერის ზედ და თვალებიდან ცრემლი ღაპა-ღუპით გადმოსდის. თან აქეთ-იქით იხედება, უტერ-ოფიცერმა არ დაინახოს, თორემ ცხელი დღე დაადგება.

ქალაქში არსად უშვებენ, ეზოშიაც კი ვერ გამოვა დაუკითხავად. ამხანაგისა, ნათესავის ნახვა რომ უნდოდეს, მეორე როტაში ვერ მივა. ქართველი ქართულად ვერ დაილაპარაკებს, მაჰმადიანი—თათრულად, სომეხი—სომხურად, ყველამ რუსულად უნდა ილაპარაკოს, თუმცა არავის, არც რუსს, არც სხვა ტომისას ანბანსაც კი არ ასწავლიან.

ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში თავის პოლკის მეტს ვერავის ჰხედავს, სამხედრო დისციპლინისა და წესდების მეტს ვერაფერს სწავლობს. იცნობს მხოლოდ უფროსებს, ეშინიან მხოლოდ მათი, დანარჩენებს ადამიანად არა სთვლის, ჰხედავს მხოლოდ სისასტიკეს, ცემა-ტყეპას, არ ესმის არც ერთი ადამიანური სიტყვა და ერთი-ორი წლის შემდეგ ყველა ამას ითვისებს, ისიც ეხეცდება და ბოლოს თავის მასწავლებლების ადგილს იჭერს.

სალდათის სახელი საპატიო სახელიაო, ეუბნევიან მას და იმავე დროს, როგორც პირუტყვს, ისე ექცევიან. ბევრი ანეგდოტია საზოგადოებაში გავრცელებული სალდათის სისულელის შესახებ. ეს გარემოება ადვილად აიხსნება. სალდათი ცემა-ტყეპით ისეა გამოჩერჩეტებული, უფროსებისგან ისეა შეშინებული, ისეა თავ-გზა დაბნეული, რომ ხშირად უფროსს გვარი უკითხავს და სალდათს პასუხი ვერ მიუცია, თავისი გვარი დავიწყებია.